პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1981 წელი
სამშაბათი
6
ოქტომბერი
№ 230 (18172)
ფასი 2 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღეს დადგენილება „1981-1990 წლებში ღია წესით ქვანახშირის მოპოვების განვითარების დაჩქარების დამატებითი ღონისძიებების შესახებ"

აღნიშნულ დადგენილებაში აღნიშნულია, რომ უკანასკნელი წლების მანძილზე ქვანახშირის ღია წესით მოპოვება კიდევ უფრო განვითარდა და 1970 წლის 165 მილიონი ტონიდან 1980 წელს მიაღწია 269 მილიონ ტონას, რაც ქვანახშირის მოპოვების საერთო მოცულობის 38 პროცენტს შეადგენს.

ამასთანავე ქვანახშირის ღია წესით მოპოვების განვითარების ხელშემწყობ სამთო-გეოლოგიურ პირობებს საკმარისად ვერ იყენებენ.

ჩამორჩება სამხრეთ იაკუტიის ქვანახშირის კომპლექსის, ეკიბასტუზის, კანსკ-აჩინსკის სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსების მშენებლობა და ღია წესით ქვანახშირის მოპოვების განვითარება კუზნეცის ქვანახშირის აუზში.

სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის სამინისტრო და სსრ კავშირის ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის სამინისტრო აგვიანებენ ქვანახშირის ჭრილების და მათ ბაზაზე მშენებარე თბოელექტროსადგურების საწარმოო სიმძლავრეთა ამოქმედებას, ვერ უზრუნველყოფენ უპირველესად სამშენებლო ინდუსტრიის ბაზის საწარმოებისა და ობიექტების შექმნა, არ შეუსრულებიათ საცხოვრებელი სახლების, კომუნალური მეურნეობისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტების საექსპლოატაციოდ გადაცემის დავალებანი.

დადგენილებაში ყურადღება ეთმობა იმას, რომ მძიმე და სატრანსპორტო მანქანათმშენებლობის სამინისტრომ, ენერგეტიკული მანქანათმშენებლობის სამინისტრომ, ელექტროტექნიკური მრეწველობის სამინისტრომ და საავტომობილო მრეწველობის სამინისტრომ დაუშვეს მნიშვნელოვანი ჩამორჩენა მსხვილი ქვანახშირის ჭრილების მშენებლობისა და ექსპლოატაციისათვის განკუთვნილი დიდი ერთეული სიმძლავრის სამთო-გადასახსნელი და სატრანსპორტო მოწყობილობის შექმნასა და ათვისებაში. სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის სამინისტროს მოქმედ ჭრილებში გადახსნის სამუშაოები წარმოებს მნიშვნელოვანი ჩამორჩენით, ცდება ექსკავატორები და სატრანსპორტო საშუალებანი იმის გამო, რომ საკმარისად არ უზრუნველყოფენ სათადარიგო ნაწილებით და არ ავითარებენ სარემონტო ბაზას.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ განსაზღვრეს, რომ სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის სამინისტროს, სსრ კავშირის ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის სამინისტროს, მძიმე და სატრანსპორტო მანქანათმშენებლობის სამინისტროს, ენერგეტიკული მანქანათმშენებლობის სამინისტროს, ელექტროქიმიური მრეწველობის სამინისტროსა და საავტომობილო მრეწველობის სამინისტროს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა უპირატესი ტემპით განავითარონ ქვანახშირის მოპოვება ყველაზე ეფექტიანი ღია წესით იმ საფუძველზე, რომ:

გაზარდონ ქვანახშირის მოპოვებისა და გადამუშავების სიმძლავრენი ჭრილებისა და მამდიდრებელი ფაბრიკების მშენებლობის, რეკონსტრუქციის, ტექნიკური გაახლებისა და მოდერნიზაციის, სხვა ორგანიზაციულ-ტექნიკურ ღონისძიებათა განხორციელების გზით;

შექმნან მსხვილი ქვანახშირის ჭრილების ბაზაზე დიდი ერთეული სიმძლავრის ენერგობლოკებით აღჭურვილი თბოსადგურები;

აითვისონ ნორმატიულ ვადაში ჭრილებისა და მამდიდრებელი ფაბრიკების საპროექტო სიმძლავრენი;

შექმნან და დანერგონ დიდი ერთეული სიმძლავრის ახალი პროგრესული ტექნოლოგია და სამთო-სატრანსპორტო მოწყობილობა;

გაზარდონ უწყვეტი მოქმედების ტექნიკის გამოყენებით ქვანახშირის მოპოვების ხვედრითი წილი;

დანერგონ საწარმოო პროცესების კომპლექსური მექანიზაცია და ავტომატიზაცია, შეამცირონ მძიმე ხელის შრომა.

განახორციელონ ღონისძიებანი ჭრილებში გადახსნის სამუშაოთა მოწყობაში არსებული ჩამორჩენის უსწრაფესი ლიკვიდაციისათვის;

გაადიდონ სამშენებლო და სამონტაჟო ორგანიზაციათა სიმძლავრენი;

გააუმჯობესონ შრომის პირობები, გაზარდონ სამუშაოთა წარმოების უსაფრთხოება და აამაღლონ წარმოების კულტურა;

კიდევ უფრო განავითარონ სოციალისტური შეჯიბრება, ფართოდ გაავრცელონ იმ ბრიგადებისა და კოლექტივების გამოცდილება, რომლებმაც მაღალ მაჩვენებლებს მიაღწიეს მუშაობაში, განამტკიცონ საგეგმო, შრომისა და საწარმოო დისციპლინა, შეამცირონ სამუშაო დროის დანაკარგები, გაადიდონ შრომის ნაყოფიერება, გააუმჯობესონ ქვანახშირის მოპოვება-გადამუშავების და მოწყობილობის რემონტის დარგში საწარმოთა მუშაობის მთელი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები;

გააუმჯობესონ იმ საწარმო ორგანიზაციათა მუშაკების საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობები, რომლებიც დაკავშირებული არიან ღია წესით ქვანახშირის მოპოვებასთან.

აღნიშნულ სამინისტროებს წინადადება მიეცათ დაუყოვნებლივ განახორციელონ ღონისძიებანი, რათა უზრუნველყონ ქვანახშირის ჭრილების მშენებლობის, დიდი ერთეული სიმძლავრის სამთო-გადასახსნელი, მომპოვებელი და სამთო-სატრანსპორტო მოწყობილობის შექმნისა და წარმოების ათვისების დავალებანი და სხვა დავალებები, რომლებიც გათვალისწინებულია სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებებით სამხრეთ იაკუტიის ქვანახშირის კომპლექსის, ეკიბასტუზის და კანსკ-აჩინსკის სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსების მშენებლობისა და კუზნეცის ქვანახშირის აუზის შემდგომი განვითარების შესახებ.

სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის სამინისტროს დაევალა უზრუნველყოს, რომ:

ღია წესით მოპოვებულ იქნეს 1985 წელს 315 მილიონი ტონა და 1990 წელს — 390-400 მილიონი ტონა ქვანახშირი;

შესრულდეს გადახსნის სამუშაოები 1985 წელს 1.200 მილიონი კუბური მეტრის მოცულობით და 1990 წელს —1.500 მილიონი კუბური მეტრის მოცულობით;

აშენდეს და ამოქმედდეს 1982-1983 წლებში კემეროვოს ქვანახშირის საწარმოო გაერთიანების ჭრილებში მამდიდრებელი დანადგარები ნახშირშემცველი გადახსნილი ქანებიდან ქვანახშირის მისაღებად, რომელთა საერთო სიმძლავრე წელიწადში შეადგენს 4550 ათას ტონა გადამუშავებულ ქანებს.

სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის სამინისტროს, სსრ კავშირის მშენებლობის სამინისტროს, მშენებლობის სამინისტროს შორეული აღმოსავლეთისა და ამიერბაიკალის რაიონებში, სსრ კავშირის ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის სამინისტროს და სსრ კავშირის სამრეწველო მშენებლობის სამინისტროს დაევალათ:

აამოქმედონ 1981-1985 წლებში ჭრილების ქვანახშირის მომპოვებელი სიმძლავრენი 68,6 მილიონი ტონის ოდენობით და 1986-1990 წლებში — 120 მილიონი ტონის ოდენობით;

დაიწყონ 1981-1985 წლებში ქვანახშირის ჭრილების მშენებლობა და რეკონსტრუქცია, რომელთა საერთო სიმძლავრე შეადგენს 60,9 მილიონ ტონა ქვანახშირს წელიწადში;

აამოქმედონ 1984-1985 წლებში მამდიდრებელი ფაბრიკა იაკუტიის ასს რესპუბლიკაში და სამთო-სატრანსპორტო მოწყობილობის შემკეთებელი ქარხანა პავლოდარის ოლქში.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დააკისრეს სსრ კავშირის ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის სამინისტროს გენერალური მოიჯარის ფუნქციები სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის სამინისტროსათვის მთელი რიგი ობიექტების ასაშენებლად პავლოდარის ოლქის ქალაქ ეკიბასტუზში, ბურიატეთის ასს რესპუბლიკასა და ჩიტის ოლქში.

სსრ კავშირის სამონტაჟო და სპეციალურ სამშენებლო სამინისტროს დაევალა შეასრულოს სამუშაოთა მთელი კომპლექსი მისი პროფილით კანსკ-აჩინსკისა და ეკიბასტუზის სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსების ობიექტებზე.

სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის სამინისტროს, სსრ კავშირის მძიმე ინდუსტრიის საწარმოთა მშენებლობის სამინისტროს, სსრ კავშირის მშენებლობის სამინისტროს, მშენებლობის სამინისტროს შორეული აღმოსავლეთისა და ამიერბაიკალის რაიონებში, სსრ კავშირის ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის სამინისტროს, სსრ კავშირის სამრეწველო მშენებლობის სამინისტროს და სხვა სამინისტროებს წინადადება მიეცათ უზრუნველყონ 1982-1985 წლებში, რომ ქვანახშირის ჭრილების მშენებლობასა და ექსპლოატაციაზე დასაქმებული მუშაკებისათვის აშენდეს და საექსპლოატაციოდ გადაეცეს 1410 ათასი კვადრატული მეტრი ფართობის საცხოვრებელი სახლები და მათთან ერთად სკოლები და საბავშვო ბაღები, აგრეთვე კომუნალური მეურნეობის, ჯანმრთელობის დაცვის, კულტურისა და სპორტის ობიექტები.

სატრანსპორტო მშენებლობის სამინისტროს დაევალა შეასრულოს ეკიბასტუზისა და კანსკ-აჩინსკის სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსების მშენებარე და სარეკონსტრუქციო ქვანახშირის ჭრილებსა და თბოელექტროსადგურებში სამუშაოები გარე მისასვლელი რკინიგზების ასაშენებლად და მოსაწყობად, აგრეთვე სამუშაოები გზის ზედა ნაგებობის დაგება-ბალასტირებისა და ხელოვნურ ნაგებობათა მშენებლობისათვის მოედნისშიდა რკინიგზებზე.

სამშენებლო სამინისტროებს, რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს, უკრაინის სსრ მინისტრთა საბჭოს, ყაზახეთის სსრ მინისტრთა საბჭოს და უზბეკეთის სსრ მინისტრთა საბჭოს დაუწესდათ დავალებანი, რომ 1982-1985 წლებში შეასრულონ სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის სამინისტროსათვის.

სსრ კავშირის სახმომარაგებს წინადადება მიეცა უზრუნველყოს სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის სამინისტროს, სსრ კავშირის ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის სამინისტროს და სატრანსპორტო მშენებლობის სამინისტროს იმ სამშენებლო ორგანიზაციათა ავტომობილებისა და ტრაქტორების სათადარიგო ნაწილებით ცენტრალიზებული მომარაგება, რომლებიც აშენებენ კანსკ-აჩინსკისა და ეკიბასტუზის სათბობ-ენერგეტიკულ კომპლექსებს, სსრ კავშირის სახმომარაგების მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების შესაბამისი სამმართველოების მეშვეობით.

სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტროს, რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს დაევალათ უზრუნველყონ, რომ სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის სამინისტროს, სსრ კავშირის ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის სამინისტროსა და სატრანსპორტო მშენებლობის სამინისტროს სავაჭრო ორგანიზაციებს, რომლებიც მომსახურებას უწევენ კანსკ-აჩინსკის სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსის საწარმოებისა და ობიექტების მშენებლობაზე დასაქმებულ მუშაკებს, უპირატესად გამოეყოს სასურსათო და სამრეწველო საქონლის საბაზრო ფონდები.

რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს დაუწესდა დავალება ადგილობრივი საშენი მასალებით მოამარაგოს სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის სამინისტრო, სსრ კავშირის ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის სამინისტრო და სატრანსპორტო მრეწველობის სამინისტრო კანსკ-აჩინსკის სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსის საწარმოებისა და ობიექტების მშენებლობისათვის.

სსრ კავშირის გეოლოგიის სამინისტროს დაევალა:

უზრუნველყოს 1981-1985 წლებში საძიებო სამუშაოებისა და წინასწარი დაზვერვის მოწყობა ქვანახშირის ღია წესით მოპოვებით უბნების გამოსავლენად ამურის ოლქში, ხაბაროვსკის მხარეში, ტუნგუსისა და იაკუტიის ქვანახშირის აუზების სამხრეთ აუზებში;

დაამთავროს დადგენილ ვადაში დეტალური დაზვერვა და დაამტკიცოს ქვანახშირის მარაგი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ სასარგებლო წიაღისეულის მარაგის სახელმწიფო კომისიაში ყაზახეთის სსრ, ხაბაროვსკის მხარის, ამურის, დნეპროპეტროვსკისა და ირკუტსკის ოლქების მთელი რიგი საბადოების მიხედვით.

სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის სამინისტროს დაევალა შეუდგეს 1986-1990 წლებში თურგაის მურა ნახშირის აუზის ათვისებას, ამასთან ააშენოს 1983-1985 წლებში ამ აუზში სადაზვერვო-საექსპლოატაციო ჭრილი.

სსრ კავშირის პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტს წინადადება მიეცა გაუგზავნოს 1982-1985 წლებში სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის სამინისტროს ორგანიზაციებს პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების 1500 კურსდამთავრებული ყოველწლიურად ეკიბასტუზისა და კანსკ-აჩინსკის სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსებისა და სამხრეთ იაკუტიის ქვანახშირის კომპლექსის საწარმოებისა და ობიექტების მშენებლობაზე.

მიღებულია სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის წინადადება 1982-1985 წლებში სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის სამინისტროს და სსრ კავშირის ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის სამინისტროს

(დასასრული მე-2 გვ.)

800.000 ტონა ყურძნისათვის!

უკან დარჩა სამასათასიანი მიჯნა

კახეთის რაიონების მევენახეებმა წელს 550 ათას ტონაზე მეტი ყურძენი უნდა მიჰყიდონ სახელმწიფოს. 5 ოქტომბრისათვის 310 ათას ტონაზე მეტი ყურძენია დამზადებული. აქედან 112 ათას ტონამდე გურჯაანელთა წვლილია, 49 ათას ტონაზე მეტი — სიღნაღელებისა. ყვარლელებმა 45.629 ტონა მოკრიფეს, თელაველებმა — 42.938 ტონა, წითელწყაროელებმა — 39.183 ტონა. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ლაგოდეხელთა წვლილი. ლაგოდეხელებმა ვალდებულება იკისრეს მეთერთმეტე ხუთწლედის პირველ წელს 20.000 ტონა ყურძენი დაამზადონ, ანუ საგეგმოზე რვა ათასი ტონით მეტი. რაიონის მევენახეებმა გეგმა უკვე შეასრულეს და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ამ დღეებში ვალდებულებაც შესრულდება.

რთველი ქართლისა და იმერეთის რაიონებსაც ეწვია. ქებით უნდა მოვიხსენიოთ მარნეულის რაიონის პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების, მევენახეთა ენერგიული შრომა. მარნეულელებმა წელს 23.000 ტონა ყურძნის დამზადება იკისრეს. უკვე მოკრეფილი და გადამუშავებულია 18.876 ტონა ყურძენი. სულ რესპუბლიკაში მოკრეფილია 341.965 ტონა ყურძენი.

ყურძნის კრეფის ტემპი უნდა დააჩქარონ ახმეტის, საგარეჯოს, ხაშურის რაიონების მევენახეებმა. დროა რთველი დაიწყონ მცხეთის, გორის, კასპისა და სხვა რაიონების მეზვრეებმაც.

ყურძნის დამზადების 1981 წლის გეგმა-ვალდებულების შესრულება (ტონობით)

მევინეობის სამრეწველო გაერთიანების „სამტრესტის" 5 ოქტომბრის ცნობა

რაიონები	გეგმა-ვალდებულება	შესრულება
გურჯაანის	160.000	111.980
თელავის	92.000	42.938
ყვარლის	77.000	45.629
სიღნაღის	67.000	49.687
წითელწყაროს	60.000	39.183
ახმეტის	58.000	5.199
საგარეჯოს	35.000	3.416
ლაგოდეხის	20.000	12.045
მარნეულის	23.000	18.876
ბოლნისის	15.000	8.669
გარდაბნის	8.700	2.932
თეთრი წყაროს	2.600	194
ხაშურის	6.200	117
ზესტაფონის	35.000	392
თერჯოლის	30.000	278
საჩხერის	7.100	108
წყალტუბოს	5.000	322
სულ საქართველოში	800.000	341.965

გურჯაანის რაიონის ზვრების საკმაო ნაწილში ყურძენი უკვე მოიკრიფა, ზოგან კი მთელი ძალით არის გაჩაღებული რთველი. ყურძენი წინასწარ შედგენილი გეგმა-გრაფიკის მიხედვით იკრიფება. რთველში ყველა რგოლი — მკრეფავი-ტრანსპორტი-ქარხანა — შეთანხმებულად მუშაობს. ამით საერთო საქმე წინ მიდის.

სურათებზე: საქართველოს სსრ ავტოტრანსპორტის სამინისტროს ტვირთის გადაზიდვის ორგანიზაციის განყოფილების უფროსი ო. ყურაშვილი, საქართველოს კომპარტიის გურჯაანის რაიკომის ინსტრუქტორი ე. გიორგაძე, საქსახსოფლტექნიკის წამყვანი ინჟინერი გ. ლაზარიაშვილი, ავტოტრანსპორტის სამინისტროს კადრების სამმართველოს უფროსის მოადგილე შ. ჩაჩხულაშვილი და გურჯაანის გამოთვლითი ცენტრის დირექტორი რ. ენგიაზაროვი „რთველი-81"-ის მართვის ავტომატურ სისტემაზე მუშაობის დროს; ყურძნის მიღება შრომის ღვინის ქარხანაში.

ი. დავითაშვილის (საქინფორმის) და ნ. ნათელაშვილის ფოტო.

სამი შეკითხვა ჩამორჩენილი უბნის ხელმძღვანელს:

1. რამ გამოიწვია ჩამორჩენა?

2. რა ღონისძიებები ხორციელდება ჩამორჩენის დასაძლევად?

3. შეგწევთ თუ არა უნარი დარაზმოთ კოლექტივი სახელმწიფო გეგმის უთუო შესრულებისათვის?

როგორც ცნობილია, მეათე ხუთწლედში თბილისის საწარმოო გაერთიანების „ჩარხმშენებლის" კოლექტივმა, რომელიც წინათ რესპუბლიკის მოწინავე საწარმოთა რიგებში იდგა და არაერთი საინტერესო თაოსნობის ინიციატორადაც გვევლინებოდა, არადამაკმაყოფილებლად იმუშავა.

და აი, დაიწყო მეთერთმეტე ხუთწლედი, მოსალოდნელი იყო, რომ გაერთიანების ადმინისტრაცია, პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების ხელმძღვანელები, კოლექტივთან ერთად მდგომარეობის გამოსასწორებლად საჭირო დასკვნებს გამოიტანდნენ. მაგრამ ამაოდ. წლის დასაწყისიდან გაერთიანება ისევ და ისევ ჩამორჩენილთა რიგებშია. იგი ვერ ართმევს თავს პროდუქციის გამოშვებისა და რეალიზაციის მიმდინარე წლის გეგმებს. დამაკმაყოფილებელი არ არის სხვა ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებიც.

რედაქციამ ტრადიციული შეკითხვებით მიმართა გაერთიანების დირექტორს გ. ჯიქიძეს, რომელმაც შემდეგი განაცხადა:

— **ჩამორჩენის** მიზეზი? მრავალია. პირველი. წლების მანძილზე უგეგმოდ შენდებოდა და რეკონსტრუქციას განიცდიდა გაერთიანების მეთაური საწარმოს ცალკეული კორპუსები, დამხმარე სამსახურებისა და სპეციალური ჩარხების სამწყობო მოედნები. ამან საწარმოს სიმძლავრეთა შორის მნიშვნელოვანი დისპროპორცია გამოიწვია.

ხანგრძლივი დროის მანძილზე სათანადო ყურადღება არ ექცეოდა გაერთიანების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საკითხებს. მუშა-მოსამსახურეთათვის არ შენდებოდა საცხოვრებელი სახლები, დიდი ხნის მანძილზე საწარმოს სპორტული კომპლექსი გადაქცეული იყო სამშენებლო პოლიგონად, კიროველთა კლუბში არ იმართებოდა კულტურული ღონისძიებები. ცხადია, ეს ფაქტორები ზეგავლენას ახდენდა მშრომელთა საწარმოში დამკვიდრებაზე, შრომის ნაყოფიერების ზრდაზე და, ბოლოს, კოლექტივის ჩამოყალიბებაზე. ამას ისიც დაემატა, რომ გაერთიანების ტექნიკური აღჭურვილობა, საამქროები და მანქანა-დანადგარები როგორც ფიზიკურად, ისე მორალურად მოძველდა.

მთავარი მიზეზი მაინც ის გახლავთ, რომ ჩვენ თბილისის ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხანა წლების მანძილზე უხარისხო სხმულით გვამარაგებდა. ამას ვიღა ჩივის (თუმცა შემდგომში ამის მოთმენა საქმის ღალატს უდრის), როცა გეგმით გათვალისწინებულსაც არ გვაძლევს. მოვიშველიებ ფაქტებს: 1979 წელს დაგვაკლეს 1833 ტონა ასეთი სხმული, ხოლო შარშან — 2016 ტონა. ბუნებრივია, ამან უარყოფითი გავლენა მოახდინა ჩვენი კოლექტივის მუშაობაზე, არ მოგვეცა საშუალება გვქონოდა სათანადო მარაგი, რამაც გამოიწვია ლითონსაჭრელი ჩარხებისა და, საერთოდ, მთლიანი პროდუქციის გამოშვების სახელმწიფო გეგმის შეუსრულებლობა.

მეორე შეკითხვაზე მოკლედ გიპასუხებთ: მთელი კოლექტივის ცოდნა და ენერგია იმას ხმარდება, რომ უახლოეს პერიოდში დავძლიოთ დამხმარე საწარმოთა კომპლექსური რეკონსტრუქციის დროს წარმოებაში შექმნილი დისპროპორცია, რაც უსათუოდ უზრუნველყოფს საწარმოო სიმძლავრეთა თანაბარ განვითარებას; შევქმნათ ყველა პირობა ახალი, განვითარებული კონსტრუქციის ჩარხების დასამზადებლად.

ალბათ, საჭიროა ჩამოვთვალო ზოგიერთი ღონისძიება, რომლებიც ამ მიმართულებით განვახორციელეთ: ავამოქმედეთ ახალი საექსპერიმენტო საამქრო, რომელიც აღვჭურვეთ ახალი მანქანა-დანადგარებით. ახლა მიმდინარეობს ამ ტექნიკის ათვისება. ყოველივე ეს საშუალებას მოგვცემს გავზარდოთ სპეციალური ჩარხებისა და ძირითადი, სერიული ჩარხების წარმოება. ავაშენეთ ორი საწყობი მრგვალი ნაგლინისა და სხვა სხმულების შესანახად. ეს დაგვეხმარება სრულვყოთ საჭირო ნამზადით შესაბამისი საამქროების მომარაგების სისტემა, მნიშვნელოვნად შევამციროთ მოცდენები, განვამტკიცოთ შრომის დისციპლინა, გავაუმჯობესოთ აგრეთვე სადისპეტჩერო სამსახური.

ჩვენ ხშირად გვისაყვედურებდნენ, რომ სახალხო მეურნეობას არ ვაწვდიდით კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების საქონელს. ამჟამად სწრაფი ტემპით წარმოებს შესაბამისი საამქროს რეკონსტრუქცია.

მალე დამთავრდება გალვანური ახალი საამქროს მშენებლობა. სახეხი ჩარხების ქარხნის ტერიტორიაზე შენდება 6000 კვადრატული მეტრი ფართობის ახალი საამქრო, სადაც ახალმოსახლეობას იზეიმებენ მეთაური ქარხნის № 2 კორპუსში მოთავსებული საამქროები. ძველი შენობა კი სარეკონსტრუქციოა. ახალ კორპუსში დავამზადებთ პროგრამული მართვის ჩარხებს.

მინდა შევეხო წარმოების ორგანიზაციის ისეთ საკითხს, როგორიც არის შრომის ბრიგადული ფორმებისა და ანაზღაურების ახალი მეთოდების დანერგვა. ამჟამად ახალი მეთოდით 21 ბრიგადის 211 მუშა შრომობს. ამ პროგრესული მეთოდის გამოყენებას უნდა ვუმადლოდეთ, რომ მექანიკური საამქროს მტვიფრავთა ბრიგადაში შრომის ნაყოფიერება 105 პროცენტამდე, ხოლო ხელფასი — 103 პროცენტამდე გაიზარდა.

დიდ იმედებს ვამყარებთ აგრეთვე სოციალურ-ეკონომიკური საკითხების დადებითად გადაწყვეტაზე. ამჟამად მთავრდება რვასართულიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა. მომავალშიც ყოველწლიურად აიგება 70-ბინიანი სახლები, რაც უთუოდ დაგვეხმარება მინიმუმამდე შევამციროთ მუშახელის დენადობა, მოვიზიდოთ კვალიფიციური კადრი.

დასასრულ დავძენ, რომ კრიტიკა, რომელსაც სამართლიანად გამოთქვამენ ჩვენი გაერთიანების კოლექტივის მიმართ, მომაკვდინებელი როდია. ჩვენ კარგად გვესმის საკითხის სიმწვავე, ისიც, რომ ასე დიდხანს არ შეიძლება გაგრძელდეს, ვინაიდან სახალხო მეურნეობას სჭირდება ჩარხები. ამიტომ პირადი პასუხისმგებლობით მინდა გაზეთ „კომუნისტის" მკითხველებს აღვუთქვა, რომ გაერთიანების პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციები, კომუნისტები და მთლიანად კოლექტივი ყველაფერს იღონებენ იმისათვის, რომ თბილისელი ჩარხმშენებლები კვლავაც მოწინავეთა რიგებში ჩადგნენ.

რედაქციისაგან:

თბილისის საწარმოო გაერთიანების „ჩარხმშენებლის" დირექტორის დაპირება საფუძველს მოკლებული როდია. ამის საწინდარია სსრ კავშირის ჩარხმშენებლობისა და საინსტრუმენტო მრეწველობის სამინისტროს მიერ შემუშავებული გაერთიანების მუშაობის გარდაქმნისა და გაუმჯობესების შესახებ მიღებული ღონისძიებები.

იმედს გვაძლევს ის გარემოება, რომ რესპუბლიკის ზემდგომი პარტიული და სამეურნეო ორგანიზაციები, ზემოხსენებულ სამინისტროს ხელმძღვანელობასთან ერთად, კვლავაც სახავენ არსებულ მდგომარეობიდან გაერთიანების გამოყვანის უფრო რადიკალურ ღონისძიებებს. მაგრამ მაინც შევნიშნავთ: რაოდენ რაციონალურიც უნდა იყოს ეს პროგრამა, თუ ქართველმა ჩარხმშენებლებმა მაქსიმალურად არ გამოიყენეს წარმოების შიდა რეზერვები, სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა არ გამოუცხადეს მოცდენებსა და დისციპლინის დარღვევებს, ყველაფერი თუ არ იღონეს იმისათვის, რომ სახელმწიფო დავალებანი გეგმაზომიერად, დეკადურად, ყოველთვიურად და კვარტალურად სრულდებოდეს, მდგომარეობის გამოსწორებას მყარი საფუძველი არ ჩაეყრება, სტაბილური მაჩვენებელი მაინც მერყეობის საფრთხის წინაშე აღმოჩნდება.



მხატვრული სიტყვის ძალა და უკვდავება

მწერლის მშობლიურ კუთხეში

„მწერალი პირუთვნელი და ბეჯითი მოსამსახურეა ერისა" — დიდი ქართველი საბჭოთა მწერლის მ. ჯავახიშვილის ეს სიტყვები საუკეთესოდ გამოხატავს იმ ადამიანის შემოქმედების კრედოს, რომლისთვისაც სამშობლოს სამსახური უწმინდესი მოვალეობა იყო. მთელი შემოქმედებით რეალისტმა მწერალმა დაამტკიცა ამ სიტყვების სიმართლე თავის ნაწარმოებებში, რომლებიც ქართული, მთელი საბჭოთა ლიტერატურის სიამაყეა, ვინაიდან მათში ავტორი შეეხო კაცობრიობის ყველაზე სანუკვარ სიმებს — თავისუფლების, სინათლის, სიკეთისაკენ მისწრაფებას.

მის რომანებში, ნოველებში, სტატიებსა და წერილებში ასახულია მთელი სამყარო, ისინი აცოცხლებენ სხვადასხვა ეპოქების ადამიანთა ცხოვრებას, ისტორიის მოძრაობას, საზოგადოებრივი აზრის განვითარებას.

მ. ჯავახიშვილის წიგნები, რომლებსაც ახასიათებს უდიდესი მხატვრული ძალა და აქტუალობა, ჩვენი განუყრელი თანამგზავრები გახდნენ და მათში გძელდება ქართული მიწა-წყლის დიდი შვილის ცხოვრება.

ამ დღეებში ქართველი ხალხი დიდი პატივისცემით აღნიშნავს თავისი მწერლის იუბილეს. გასულ კვირას მარნეულში გაიმართა მ. ჯავახიშვილის დაბადების 100 წლის თავისადმი მიძღვნილი ზეიმი. ქალაქის ცენტრალურ მოედანზე ათასობით ადამიანი შეიკრიბა. აქ ჩამოვიდნენ მხატვრული სიტყვის ოსტატები მოსკოვიდან, უკრაინიდან, ყირგიზეთიდან, აზერბაიჯანიდან, სომხეთიდან, აფხაზეთიდან და სამხრეთ ოსეთიდან, ქართული კულტურის მოღვაწენი, ყველა ისინი ვისთვისაც ძვირფასია გამოჩენილი ოსტატის შემოქმედება.

შესანიშნავი მწერლის ძეგლის გახსნას მიეძღვნა ხალხმრავალი მიტინგი. იგი შესავალი სიტყვით გახსნა პარტიის მარნეულის რაიკომის პირველმა მდივანმა რ. მემარნიშვილმა.

ქართული და საბჭოთა ლიტერატურის ისტორიაში სიტყვის ამ უბადლო ოსტატის შემოქმედების დიდ მნიშვნელობაზე ილაპარაკეს შაუმიანის რუსული სკოლის მასწავლებელმა ა. კლემინამ, მწერალმა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა ს. ჭილაიამ, მარნეულის ხალხთა მეგობრობის მუზეუმის დირექტორმა ს. ასლანიანმა, აზერბაიჯანელმა მთარგმნელმა დ. ალიევამ და სხვებმა. ისინი ხაზს უსვამდნენ მწერლის წიგნების უდიდეს ძალას, რომლებიც გვასწავლიან სიყვარულსა და სიკეთეს, ურთიერთგაგებას, ხალხისთვის, სამშობლოსათვის თავდადებას.

მიტინგზე შეკრებილთა ტაშის გრიალში მწერლებმა — აკადემიკოსებმა ირაკლი აბაშიძემ და გრიგოლ აბაშიძემ ძეგლს თეთრი საბურველი მოხსნეს და დამსწრეთა თვალწინ წამოიმართა ბრინჯაოში გაცოცხლებული მიხეილ ჯავახიშვილის შთაგონებული სახე.

ძეგლის ავტორები არიან რესპუბლიკის დამსახურებული მხატვარი გ. მიზანდარი, არქიტექტორი — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პრემიის ლაურეატი ა. მარგველაშვილი.

მიტინგი დამთავრდა. ძეგლის კვარცხლბეკს ამკობენ ყვავილებით ქართული საბჭოთა ლიტერატურის კლასიკოსისადმი თანამედროვეთა დიდი მადლიერების ნიშნად.

შემდეგ საიუბილეო ზეიმის მონაწილენი გაემართნენ პატარა ქართული სოფლის — წერაქვისაკენ, სადაც 100 წლის წინათ დაიბადა მწერალი.

... მაღალ მთებში მიყუჟული სოფელი, რომელიც რამდენიმე წლის წინათ თითქმის დაცარიელდა. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დაუცხრომელი ზრუნვის შედეგად ამ ძველ მიწაზე აღორძინდა სიცოცხლე. აქ, თავიანთ მშობლიურ კერებს, ისევე როგორც ჭერემში, უდაბნოსა და სხვა აღორძინებულ სოფლებში, დაუბრუნდნენ აქედან წასული წერაქველები, მათთვის გაიხსნა ქართული სკოლა, გაყვანილია გზა.

დაიწყო სახალხო დღესასწაული. მთის ლამაზი კალთები გადაიქცა თეატრალიზებული წარმოდგენის ბუნებრივ დეკორაციად. სცენაზე გაცოცხლდნენ მიხეილ ჯავახიშვილის ნაწარმოებების „არსენა მარაბდელის", „კურკას ქორწილის", „კვაჭი კვაჭანტირაძის", „განაჩენისა" და სხვათა გმირები. დღესასწაული, რომელმაც დამსწრეებს საშუალება მისცა კვლავ შეხებოდნენ მიხეილ ჯავახიშვილის შემოქმედებას, გააფორმეს საქართველოს სახალხო არტისტმა გ. წიფურიამ და საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ, მხატვარმა ო. ლითანიშვილმა. მასში მონაწილეობდნენ თბილისის, მარნეულის რაიონის მხატვრული კოლექტივები, მწერლის თანასოფლელები.

ამავე დღეს ფართოდ გაიღო მ. ჯავახიშვილის სახლ-მუზეუმის კარი. მის ექსპოზიციაში გამოფენილია მწერლის წიგნები და ხელნაწერები, ფოტოსურათები და დოკუმენტები.

(დასასრული მე-2 გვ.)

საპატიო შრომა, საპატიო სახელი

საქართველოს მასწავლებელთა 81-ათასიანმა რაზმმა აღნიშნა გასულ კვირას თავისი პროფესიული დღესასწაული. მასწავლებლის დღეს მიეძღვნა საზეიმო კრება, რომელიც რუსთაველის სახელობის თეატრში გაიმართა.

პრეზიდიუმში არიან ამხანაგები გ. ენუქიძე, თ. მენთეშაშვილი, ო. ჩერქეზია, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეცნიერებისა და სასწავლებელთა განყოფილების გამგე ე. სიხრუაშვილი, პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანი ნ. გურგენიძე, სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელები, სახალხო განათლების მუშაკები, საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

საბჭოთა ქვეყნის ნორჩ მოქალაქეთა სულიერ ჩამოყალიბებაში საქართველოს მასწავლებელთა დიდ წვლილზე ილაპარაკა კრების გახსნისას თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილემ ნ. ჟვანიამ

მოხსენება გააკეთა საქართველოს სსრ განათლების მინისტრმა ო. ქინქლაძემ.

კრებაზე დიპლომი გადაეცათ წლის საუკეთესო მასწავლებლის წოდებისათვის გამართული კონკურსის გამარჯვებულებს.

(საქინფორმი).

სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

(დასასრული)

ორგანიზაციებს ეკიბასტუზისა და კანსკ-აჩინსკის სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსების საწარმოებისა და ობიექტების მშენებლობაზე გაუგზავნოს დამკვრელური კომკავშირული და სტუდენტთა სამშენებლო რაზმები.

მშენებლობის სამინისტროს დაევალა შორეული აღმოსავლეთისა და ამიერბაიკალის რაიონებში ჩამოაყალიბოს სამი მოძრავი მექანიზებული კოლონა, რომლებიც შეასრულებენ სამუშაოებს ჩიტის ოლქსა და ბურიატეთის ასს რესპუბლიკაში საწარმოო და არასაწარმოო დანიშნულების ობიექტების მშენებლობაზე.

სსრ კავშირის ენერგეტიკისა და ელექტროფიკაციის სამინისტროს საავტომობილო მრეწველობის სამინისტროსთან ერთად დაევალა შექმნას 1982-1983 წლებში კრასნოიარსკის მხარის ქალაქ შარიპოვოში „კამაზ" ავტომობილების ტექნიკური მომსახურების ცენტრი.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, სსრ კავშირის სახმომარაგებას და საავტომობილო მრეწველობის სამინისტროს წინადადება მიეცათ გაითვალისწინონ 1982-1985 წლების გეგმის პროექტებით, რომ სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის სამინისტროს გამოეყოს სათადარიგო ნაწილები და საცვლელი კვანძები რკინიგზისა და საავტომობილო ტრანსპორტისათვის, რომელსაც ქვანახშირის ჭრილებში იყენებენ.

გზათა სამინისტროს დაუწესდა დავალება შეუსრულოს სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის სამინისტროს მოძრავი შემადგენლობისა და სალიანდაგო ტექნიკის საქარხნო რემონტი და დაევალა უზრუნველყოს მთელი რიგი სადგურების გაფართოება და რეკონსტრუქცია, აგრეთვე გააძლიეროს რკინიგზის გამტარუნარიანობა ყამირის რკინიგზის ზოგიერთ გადასარბენზე.

კანსკ-აჩინსკისა და ეკიბასტუზის სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსების საწარმოებისა და ობიექტების მშენებლობაზე და ექსპლოატაციის სამსახურში კადრების მიზიდვისა და დამკვიდრების მიზნით სსრ კავშირის კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტს, სსრ კავშირის ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტს და სსრ კავშირის გამომცემლობების, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტს დაევალათ უფრო ფართოდ გააშუქონ კინოში, რადიოთი, ტელევიზიით, პრესაში მოწინავე მშენებელთა კოლექტივების მიღწევები, აგრეთვე ყოველმხრივ აჩვენონ მათი შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობები.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ, რომლებსაც ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სახალხო-სამეურნეო ამოცანად მიაჩნიათ კვლავაც უპირატესი ტემპით განავითარონ ქვანახშირის მოპოვება ყველაზე ეფექტიანი ღია ხერხით, რათა უზრუნველყონ განვითარებადი თბოენერგეტიკის მოთხოვნილება სათბობზე, მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურ კომიტეტებსა და მინისტრთა საბჭოებს, პარტიის სამხარეო და საოლქო კომიტეტებს და სამეურნეო ორგანიზაციებს დაავალეს განსაკუთრებული კონტროლი დააწესონ ეკიბასტუზისა და კანსკ-აჩინსკის სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსების, სამხრეთ იაკუტიის ქვანახშირის კომპლექსის, კუზნეცკის აუზისა და ქვეყნის აღმოსავლეთის ყველაზე დიდი ქვანახშირის ჭრილების მშენებლობის მიმდინარეობას.

სკკპ კრასნოიარსკისა და ზღვისპირეთის სამხარეო კომიტეტებს, სკკპ კემეროვოს, ირკუტსკის, იაკუტიის, ჩიტის საოლქო კომიტეტებს და ყაზახეთის კომპარტიის პავლოდარის საოლქო კომიტეტს, რაიონულ და პირველად პარტიულ ორგანიზაციებს დაევალათ ფართოდ გაშალონ მუშაობა, რათა დარაზმონ ქვანახშირის ჭრილების მშენებლობაზე დასაქმებული სამშენებლო და სამონტაჟო ორგანიზაციების მშრომელთა კოლექტივები შრომის ნაყოფიერების გასადიდებლად, მშენებლობის ვადებისა და შრომატევადობის შესამცირებლად, მატერიალურ-ტექნიკური რესურსებისა და კაპიტალური დაბანდების დასაზოგავად.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღეს დადგენილება „სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის სამინისტროს შახტების ტექნიკური განახლების დაჩქარების ღონისძიებათა შესახებ"

მიღებულ დადგენილებაში აღნიშნულია, რომ პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად ქვანახშირის მრეწველობაში ხორციელდება შახტების ტექნიკური განახლების, წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისა და შრომის უსაფრთხო პირობების შექმნის ღონისძიებანი.

უკანასკნელი 10 წლის მანძილზე ქვანახშირის მოპოვება მექანიზებული კომპლექსების გამოყენებით გაიზარდა 67 პროცენტამდე, კომბაინებით სამთო გვირაბების დამუშავება — 38 პროცენტამდე. ქვეყნის ქვანახშირის აუზებში ძირითადად დამთავრდა დახრილი გვირაბებით ქვანახშირის კონვეიერულ მიწოდებაზე გადასვლა.

ფართოდ გავრცელდა მოწინავე ბრიგადების მოძრაობა, რომლებიც დღე-ღამეში ერთი ლავიდან 1000 ტონაზე მეტ ქვანახშირს იღებენ.

ამასთან ქვანახშირის შახტების ტექნიკური განახლებისათვის მუშაობაში არსებითი ნაკლოვანებებია. სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის სამინისტროს აქვს ჩამორჩენა მოქმედი ქვანახშირის შახტების რეკონსტრუქციაში, ახალი ჰორიზონტების მომზადებასა და საწმენდ სამუშაოთა ფრონტის განვითარებაში. ჩამორჩენაა აგრეთვე იმ მექანიზებული კომპლექსების სერიული წარმოების ორგანიზაციაში, რომლებიც განკუთვნილია ქვანახშირის თხელი ფენებისა და ძნელად დასანგრევჭერიანი არამდგრადი გვერდითი ქანების მქონე ფენების ამოღებისათვის. საწარმოო პროცესების მექანიზაციის საკუთხოა არაკომპლექსური გადაწყვეტის გამო ხელის შრომის დონე შახტებში ნელა მცირდება.

დარგის სამეცნიერო-კვლევითმა და საპროექტო-საკონსტრუქტორო ინსტიტუტებმა ვერ უზრუნველყვეს რთულ სამთო-გეოლოგიურ პირობებში ქვანახშირის საბადოების დამუშავებასთან დაკავშირებული უმნიშვნელოვანესი საკითხების დროული გადაწყვეტა.

ქვანახშირის მანქანათსაშენებელი ქარხნების განვითარებაში ჩამორჩენის გამო მთლიანად არ კმაყოფილდება შახტების მოთხოვნილება მოწყობილობაზე. ცალკეული მანქანების ხარისხი და საიმედოობა არ შეესაბამება თანამედროვე მოთხოვნებს.

სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის სამინისტრო და მძიმე და სატრანსპორტო მანქანათმშენებლობის სამინისტრო ნელა ავითარებენ დამრეცი ქვანახშირის ფენების ამოსაღები საშუალო სიმძლავრის მექანიზებული კომპლექსებისა და სამთო გვირაბების გასაყვანი მძიმე ტიპის კომბაინების საწარმოო სიმძლავრეებს, რაც აფერხებს ქვანახშირის მოპოვების განვითარებას კუზნეცკის, ყარაღანდის, პეჩორის და დონეცკის აუზებში.

ელექტროტექნიკური მრეწველობის სამინისტრო სრულად ვერ აკმაყოფილებს ქვანახშირის მრეწველობის მოთხოვნილებას სანგრევი მოწყობილობისათვის საჭირო გადიდებული სიმძლავრის ელექტროძრავებზე, სსრ კავშირის შავი მეტალურგიის სამინისტრო — დაბალლეგირებული ფოლადისა და ზუსტი მილების სპეციალურ პროფილებზე, ხელსაწყოთმშენებლობის, ავტომატიზაციის საშუალებათა და მართვის სისტემების სამინისტრო — ქვანახშირისა და გაზის უეცარი გამონაბოლქვის წინააღმდეგ ბრძოლის აპარატურასა და ხელსაწყოებზე, სსრ კავშირის ნავთობგადამმუშავებელი და ნავთობქიმიური მრეწველობის სამინისტრო — მაღალი წნევის სახელოებსა და ემულსოლებზე.

იმ მიზნით, რომ დაჩქარდეს შახტების ტექნიკური განახლება, უზრუნველყოფილ იქნეს ქვანახშირის მოპოვების ზრდა, ამაღლდეს წარმოების ეფექტიანობა და გაუმჯობესდეს შრომის პირობები, სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ განსაზღვრეს, რომ შახტების ტექნიკური განახლების დარგში სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის სამინისტროს მთავარი ამოცანებია:

დააჩქაროს საწმენდ და სამთო სამუშაოთა კომპლექსური მექანიზაციისათვის განკუთვნილი მანქანათა სისტემების, ქვანახშირის თხელი ფენების და რთული სამთო-გეოლოგიური პირობების ფენების ამოსაღები მოწყობილობის კომპლექსების შემუშავება და წარმოება;

დააჩქაროს ქვანახშირის მოპოვების ისეთ ავტომატიზებულ საშუალებათა შექმნა და დანერგვა, რომლებიც არ მოითხოვს ადამიანთა მუდმივ ყოფნას საწმენდ სანგრევებში;

უზრუნველყოს ქვანახშირის მოპოვების მოცულობის მატება ძირითადად შრომის ნაყოფიერების ზრდის გზით;

გაადიდოს ქვანახშირის მანქანათსაშენებელი ქარხნების საწარმოო სიმძლავრენი, რათა უფრო სრულად დააკმაყოფილონ დარგის მოთხოვნილება დიდმწარმოებლურ სამედო სამთო-საშახტო მოწყობილობასა და მის სათადარიგო ნაწილებზე;

გააუმჯობესოს შრომისა და უსაფრთხოების ტექნიკის პირობები.

სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის სამინისტროს დაევალა შეიმუშაოს და განახორციელოს შახტების სამთო მეურნეობის სრულყოფის, საწარმოო პროცესების მექანიზაციისა და ავტომატიზაციის საშუალებათა გამოყენების გაფართოების ღონისძიებანი, ამასთან მეთერთმეტე ხუთწლედის მანძილზე უზრუნველყოს, რომ:

ამაღლოს ქვანახშირის საბადოთა დამუშავების პროგრესული სისტემების ხვედრითი წილი 80 პროცენტამდე, საწმენდ სამუშაოთა კომპლექსური მექანიზაციის დონე 74 პროცენტამდე, კომბაინების მიერ სამთო სამუშაოების შესრულება 43,5 პროცენტამდე, ქვანახშირის კონვეიერული ტრანსპორტირება ჰორიზონტალური გვირაბებით 30 პროცენტამდე, სტაციონარული დანადგარების ავტომატიზაცია — 88 პროცენტამდე, ჰიდრავლიკური წესით ქვანახშირის მოპოვების მოცულობის ზრდა 11 მილიონ ტონამდე;

დაამზადოს და მიაწოდოს შახტებს უფრო მაღალი ტექნიკური დონის მექანიზებული კომპლექსები, გამოიყენოს ლავებში საბაზო ხვეტია კონვეიერები, რომელთა მეშვეობით რესურსი 2-2,5-ჯერ მეტია ახლანდელზე, დაამზადოს უნიფიცირებული რიგის ვიწრო მოდებისგანიანი კომბაინები საშუალო სიძლავრის ქვანახშირის ფენებისა და მძლავრი ფენების ამოსაღებად, საშახტო ლენტური კონვეიერები უნიფიცირებული ბლოკებისაგან, უფრო სრულყოფილი საშახტო ლოკომოტივები;

აღიჭურვოს მონორელსური და სანიადაგო გზებით დამხმარე ტვირთის ტრანსპორტირების მექანიზაციისათვის ყველა უბანი, სადაც დღე-ღამეში იღებენ 1000 ტონა და მეტ მადანს.

სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის სამინისტროს აგრეთვე წინადადება მიეცა:

გააუმჯობესოს სამეცნიერო-კვლევითი და საპროექტო-საკონსტრუქტორო ინსტიტუტებისადმი ხელმძღვანელობა, ამაღლოს ქვანახშირის მრეწველობაში ტექნიკური პროგრესის დასაჩქარებლად მათი მუშაობის შედეგიანობა, თავი მოუყაროს ინსტიტუტების ძალებს დარგის განვითარების უმნიშვნელოვანესი პრობლემების გადასაჭრელად, უწინარეს ყოვლისა, ხელის და მძიმე ფიზიკური შრომის შესამცირებლად;

უზრუნველყოს 1981-1985 წლებში, რომ ქვანახშირის მანქანათსაშენებელ ქარხნებში განვითარდეს ძირითადი სამთო-საშახტო მოწყობილობისა და საშახტო ავტომატიკის საშუალებების საწარმოო სიმძლავრენი;

შექმნას და საექსპლოატაციოდ გადასცეს 1981-1985 წლებში სულ ცოტა 100 კომპლექსურ-მექანიზებული უბანი, ნაკადური და ავტომატიზებული ხაზი, დანერგოს ამავე ვადაში 950 ერთეული სპეციალიზებული და აგრეგატული ლითონსაჭრელი მოწყობილობა და 280 პროგრამული მართვის ჩარხი, გააუმჯობესოს წარმოების სპეციალიზაცია;

ამაღლოს სამთო-საშახტო მოწყობილობის ხარისხი და საიმედოობა, უზრუნველყოს 1981-1985 წლებში ძირითადი სამთო-საშახტო მოწყობილობის მუშაობის რესურსის გადიდება კაპიტალურ რემონტამდე;

მოაწყოს 1982-1985 წლებში თხელი ქვანახშირის ფენებისა და რთული სამთო-გეოლოგიური პირობების ფენების ამოსაღები მექანიზებული კომპლექსების წარმოება.

სსრ კავშირის სამონტაჟო და სპეციალურ სამშენებლო სამუშაოთა სამინისტროს, სსრ კავშირის ჩარხსაშენებელი და საინსტრუმენტო მრეწველობის სამინისტროს, ელექტროტექნიკური მრეწველობის სამინისტროს და ხელსაწყოთმშენებლობის, ავტომატიზაციის საშუალებათა და მართვის სისტემათა სამინისტროს დაევალათ დაამზადონ და მიაწოდონ 1982-1985 წლებში სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის სამინისტროს მექანიზებული კომპლექსების წარმოებისათვის საჭირო კვანძები და მაკომპლექტებელი ნაწარმი.

სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის სამინისტროს, სსრ კავშირის სამრეწველო მშენებლობის სამინისტროს, სსრ კავშირის მშენებლობის სამინისტროს, სსრ კავშირის სამონტაჟო და სპეციალურ სამშენებლო სამუშაოთა სამინისტროს, სსრ კავშირის მძიმე ინდუსტრიის საწარმოთა მშენებლობის სამინისტროს და სსრ კავშირის ენერგეტიკისა და ელექტროფიკაციის სამინისტროს დაევალათ განახორციელონ 1981-1985 წლებში სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის სამინისტროს ქვანახშირის მანქანათსაშენებელი ქარხნების მშენებლობა, გაფართოება და რეკონსტრუქცია.

ქიმიური და ნავთობის მანქანათმშენებლობის სამინისტროს და სსრ კავშირის სამრეწველო მშენებლობის სამინისტროს წინადადება მიეცათ უზრუნველყონ 1982-1985 წლებში, რომ დროგობიჩის სატეხთა ქარხანაში აშენდეს ქვანახშირის მრეწველობისათვის განკუთვნილი სალარავი ინსტრუმენტის გამომშვები კომპლექსი.

სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის სამინისტროს, მძიმე და სატრანსპორტო მანქანათმშენებლობის სამინისტროს, ელექტროტექნიკური მრეწველობის სამინისტროს, ქიმიური და ნავთობის მანქანათმშენებლობის სამინისტროს და მთელ რიგ სხვა სამინისტროებს დაევალათ უზრუნველყონ 1981-1985 წლებში ქვანახშირის მრეწველობისათვის განკუთვნილ ახალ სახეობათა მოწყობილობის, აპარატურისა და მასალის საცდელი ნიმუშების შემუშავება, დამზადება და სერიული წარმოების ათვისება.

ჩარხსაშენებელი და საინსტრუმენტო მრეწველობის სამინისტროს დაუწესდა დავალება შექმნას, დაამზადოს და მიაწოდოს 1983-1985 წლებში სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის სამინისტროს მოწყობილობა ქვანახშირის მანქანათსაშენებელი ქარხნებისათვის.

ქიმიური მრეწველობის სამინისტროს, ელექტროტექნიკური მრეწველობის სამინისტროს, ხელსაწყოთმშენებლობის, ავტომატიზაციის საშუალებათა და მართვის სისტემათა სამინისტროს, ჩარხსაშენებელი და საინსტრუმენტო მრეწველობის სამინისტროს და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ მიკრობიოლოგიური მრეწველობის მთავარ სამმართველოს წინადადება მიეცათ დაამზადონ და მიაწოდონ 1982-1985 წლებში სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის სამინისტროს ქვანახშირის მანქანათმშენებლობისა და საშახტო ავტომატიკის ქარხნებისათვის მასალა და მაკომპლექტებელი ნაწარმი.

სსრ კავშირის შავი მეტალურგიის სამინისტროს დაეკისრა დაამზადოს და მიაწოდოს 1982-1985 წლებში:

სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის სამინისტროს სამთო-საშახტო მოწყობილობის დასამზადებლად უნაკერო ცხლადდეფორმირებული და თხელკედლიანი ელექტროშედუღებული მილები, ცივგრძილი პროფილები, გადიდებული ხარისხის ნაგლინი და თერმოგანმტკიცებული ლითონის ნაკეთობანი;

ჩარხსაშენებელი და საინსტრუმენტო მრეწველობის სამინისტროს — ფოლადის ბალონები ჰიდროაკუმულატორების დასამზადებლად;

სსრ კავშირის ნავთობგადამმუშავებელი და ნავთობქიმიური მრეწველობის სამინისტროს — სხვადასხვა დიამეტრის მოთითბრული მავთული.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტსა და სსრ კავშირის სახმომარაგებას დაევალათ უზრუნველყონ 1982-1985 წლებში, რომ სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის სამინისტროს გამოეყოს საჭირო ლითონდასამუშავებელი მოწყობილობა, რათა ქვანახშირის მანქანათსაშენებელ ქარხნებში დაამზადოს ახალი სამთო-საშახტო მოწყობილობა.

ქიმიური მრეწველობის სამინისტროს დაევალა 1982 წელს დაამთავროს სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის სამინისტროს ტექნიკური მოთხოვნების მიხედვით პოლიურეტანების საფუძველზე ახალი შემაკავშირებელი მასალების შემუშავება შახტებში არამდგრადი ქანების საბიგედ.

მძიმე და სატრანსპორტო მანქანათმშენებლობის სამინისტროს, სამშენებლო, საგზაო და კომუნალური მანქანათმშენებლობის სამინისტროს, სსრ კავშირის გეოლოგიის სამინისტროს, სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სამინისტროს, ხელსაწყოთმშენებლობის, ავტომატიზაციის საშუალებათა და მართვის სისტემათა სამინისტროს, ქიმიური და ნავთობის მანქანათმშენებლობის სამინისტროს და სსრ კავშირის ნავთობგადამმუშავებელი და ნავთობქიმიური მრეწველობის სამინისტროს დაუწესდათ დავალებანი აწარმოონ და მიაწოდონ 1982-1985 წლებში სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის სამინისტროს ხელსაწყო-მოწყობილობა და მასალა.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ გამოთქვეს რწმენა, რომ პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები, გაერთიანებების და კომბინატების, საწარმოებისა და მშენებლობების ხელმძღვანელები, ქვანახშირის მრეწველობის ყველა მუშაკი განახორციელებენ საჭირო ღონისძიებებს, რათა ხორცი შეასხან სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებებს დარგის ტექნიკური პროგრესის დასაჩქარებლად და შეუფერხებლად მომარაგებენ ქვანახშირით სახალხო მეურნეობას.

წლიური გეგმა შესრულებულია

დოკერებმა დროს გაუსწრეს

ლენინგრადის სატრანსპორტო კვანძის კოლექტივების ცნობილი თაოსნობა, რომელიც ითვალისწინებდა სატრანსპორტო საწარმოთა კოლექტივებს შორის შეჯიბრების შემდგომ განვითარებას, ტვირთის დამუშავების პროგრესული მეთოდის დანერგვას, ბათუმელმა მენავსადგურეებმა, რკინიგზელებმა და ავტოტრანსპორტელებმა სამი წლის წინათ გადმოიღეს და უკვე შესანიშნავ ნაყოფს იმკიან. მათ წარმატებით დაამთავრეს მეათე ხუთწლედი და კარგი სტარტი აიღეს მეთერთმეტე ხუთწლედის პირველ წელიწადს. და აი, კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გამარჯვება — ბათუმის ხალხთა მეგობრობის ორდენოსანი საზღვაო ნავსადგურის კოლექტივმა წლიური გეგმა 15 სექტემბრისათვის შესრულა! ამ ხნის განმავლობაში დაამუშავა 1.620 ათასი ტონა სახალხო-სამეურნეო ტვირთი და ქვეყანას უდიდესი ეკონომია მისცა.

გამარჯვება შრომის სწორი ორგანიზაციის, სოციალისტური შეჯიბრების მაღალ დონეზე გაშლის, კოლექტივის ერთსულოვნების, ტრანსპორტელთა შეთანხმებული შრომის შედეგია. ნავსადგურში შექმნილია საკოორდინაციო ჯგუფები, რომლებიც განიხილავენ და წყვეტენ მნიშვნელოვან საკითხებს, რომლებიც ითვალისწინებს სატრანსპორტო კონვეიერის მუშაობის ყველა ძირითად მომენტს.

სატრანსპორტო საწარმოებში ახლა მკაცრი კონტროლია დაწესებული. ზუსტად აღირიცხება ყველა სახეობის სატრანსპორტო საშუალებათა მოცდენა, ეძებენ მიზეზებს და სახავენ შესაბამის ღონისძიებებს. ასეთი მეთოდი ზრდის კოლექტივის საერთო პასუხისმგებლობას.

ბათუმის ნავსადგური დღეს ერთ-ერთი მოწინავეა არა მარტო რესპუბლიკაში, არამედ კავშირის მასშტაბითაც. აქ ყოველწლიურად მუშავდება ასობით გემი, იცლება და იტვირთება ქვეყნის სახალხო-სამეურნეო ტვირთი. დღე არ გავა, რეიდზე არ იდგეს რამდენიმე გემი. ცნობილია, რომ საქართველოს საზღვაო სანაოსნოს ხომალდები მსოფლიოს ზღვებსა და ოკეანეებს სერავენ, ბათუმის ნავსადგურში ასევე ნახავთ მსოფლიოს ათობით ქვეყნის გემებს.

საზღვაო ფლოტის განვითარებასთან ერთად იზრდება ნავსადგურების დანიშნულება და აღჭურვილობა. ბოლო 2-3 წელიწადში საგრძნობლად გაფართოვდა და კეთილმოეწყო ბათუმის ნავსადგური. აქ მრავალი სიახლე დაინერგა. შეიქმნა მექანიზებული სატვირთო კომპლექსები, რამაც შესაძლებელი გახადა ნავსადგურში მიიღონ და მოემსახურონ ტექნიკის უკანასკნელი სიტყვით აღჭურვილ ფლოტს. დაინერგა ახალი ტექნიკა და ტექნოლოგია. ამ ბოლო წლების მანძილზე მსოფლიოს ნავსადგურებში ვითარდება საპაკეტო და საკონტეინერო ტვირთზიდვა. იგი თანდათან იკიდებს ფეხს ბათუმის ნავსადგურში. ეს თანამედროვე ტრანსპორტირების მნიშვნელოვანი ფორმაა.

— ბათუმის ნავსადგურში დღედაღამ გრძელდება მუშაობა. ვეებერთელა ამწეები უდიდესი მოცულობის სამუშაოს ასრულებენ. იმაზე ფიქრი, რომ ქვეყნის საქმეს ვაკეთებთ, იმის შეგნება, რომ ჩვენზე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ხალხისათვის უძვირფასესი ტვირთის დამუშავება, ძალასა და პასუხისმგებლობას გმატებს, — თქვა გამსხვილებული კომპლექსური ბრიგადის ხელმძღვანელმა, სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულმა რომან კობახიძემ. — ნავსადგურში მრავალი ბრიგადაა, რომელთაგან ერთსაც ვერ დავასახელებთ, რომელიც გეგმას ვერ ასრულებდეს. მაგრამ საუკეთესოთა შორის საუკეთესოა ვ. ბოლქვაძისა და ე. კახიძის ბრიგადები. ამ ბრიგადებს ერთნაირი მოვალეობა როდი აკისრიათ. მაგალითად № 5 ბრიგადა სპეციალიზებულია. აქ განსაკუთრებული ხასიათის ტვირთს ამუშავებენ.

წელს ნავსადგურს შეემატა 5 ავტომტვირთავი, რამაც მნიშვნელოვნად დააჩქარა სამუშაო პროცესები და მწარმოებლობა. მალე საექსპლოატაციოდ გადაეცემა მესამე ბუნკერი, რომელიც გათვალისწინებულია სპეციალური დანიშნულების ვაგონების დასატვირთად. ბუნკერის ამუშავების შემდეგ დატვირთვა 15-20 პროცენტით გაიზრდება.

უშუალოდ შრომის ფრონტზე ვნახე ნავსადგურის პარტიული კომიტეტის მდივანი შოთა ჭარხალაშვილი და ნავსადგურის დატვირთვა-გადმოტვირთვის საწარმოო უბნის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი რომან მაჭარაძე. — შარშან რკინიგზამ, — გვითხრა შ. ჭარხალაშვილმა, — ვაგონების მიწოდების გეგმა შესრულა, მაგრამ ნავსადგურს ბევრად მეტი ესაჭიროებოდა. დაახლოებით 7.000 ვაგონით მეტი რომ მიგველო, ჩვენ შევძლებდით ასი ათას ტონაზე მეტი ტვირთის დამუშავებას. თავის მხრივ, მთელი რიგი საწარმოები დროულად არ ათავისუფლებენ ვაგონებს, რის გამოც ფერხდება საერთო საქმე. ნავსადგურის კოლექტივის დევიზია „ვადამდე დავამუშაოთ ვაგონები!" ეს ინიციატივა მოიწონა პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის ბიურომ, მაგრამ, სამწუხაროდ, ზოგიერთი საწარმო მაინც აფერხებს ვაგონების დროულად დაცლას.

— მენავსადგურეებსა და ზღვაურებს შორის შესანიშნავი კონტაქტებია დამყარებული, — თქვა რ. მაჭარაძემ, — კოლექტიურ, შეხმატკბილებულ შრომას შესანიშნავი შედეგები მოსდევს. ამით უნდა აიხსნას ის, რომ ათობით გემი ვადამდე დამუშავდა. მაგალითად, სექტემბერში ასეთი იყო იტალიის გემი „უელენი", ლიბერიის გემი „გენერალი დონხუკი", იუგოსლავიის გემი „ჯალეპიჩი", საბერძნეთის გემი „მარი". ასე რომ, საშუალოდ ყოველდღიურ ვაგონს გეგმაზე ნახევარი საათით ადრე ვამუშავებთ. ჩვენ ყოველწლიურად 45 ათასი ვაგონი გვჭირდება. რაკი თითოეულ ვაგონზე ნახევარ საათს ვიგებთ, ადვილი წარმოსადგენია, რკინიგზა რა დიდ შეღავათს ვაძლევთ.

სანაოსნოს ხელმძღვანელები ილუსტრირებული „ელვა"-გაზეთი მოიტანეს. მათთან ერთად ტექსტიც გადავხედე. აი, რა ეწერა: „ეულოცავთ! № 3 ბრიგადის დოკერ-მექანიზატორებმა (ბრიგადირი — გ. კახიძე) ერთ ცვლაში ... ტონა ბრინჯი გადმოტვირთეს ... კომპლექსური გეგმა 160,4 პროცენტით შესრულეს, ხოლო ინდივიდუალური — 183,4 პროცენტით". იმ დღის შრომის მოწინავეები იყვნენ გ. სანიკიძე, ს. ჭკადუასელი და პ. იმხანიძე.

ბათუმელმა მენავსადგურეებმა ვალდებულება იკისრეს წლის ბოლომდე გეგმის გადამეტებით 5... ათასი ტონა ტვირთი დაამუშაონ, ამას კი მხოლოდ დიდი შრომით შეიძლება მიაღწიონ. მათი დევიზია „ვიმუშაოთ ეფექტიანად, ეკონომიურად, უწუნოდ", „არც ერთი ჩამორჩენილი განყოფილება, ცვლა, ბრიგადა", „ყოველი გემი, ყოველი ვაგონი დავამუშავოთ ვადამდე!" როგორც ვხედავთ, მენავსადგურეები თავდადებული შრომის ფერხულში არიან ჩაბმულნი. ერთობლივ შემოქმედებითს შრომას კი შედეგიც მუდამ შესანიშნავი მოსდევს.

მ. გორგილაძე,
„კომუნისტის" საკ. კორ.

ბაგირგზები ინდუსტრიულ რელსებზე

საჰაერო ბაგირგზებს სულ უფრო მეტად იყენებენ ჩვენს რესპუბლიკაში. ჭიათურა, თბილისი და საქართველოს სხვა ქალაქები საჰაერო ტრასების ქსელით დაიფარა. ასეთი გზებისათვის საჭიროა რთული მოწყობილობა. ისინი სხვა რესპუბლიკებიდან შემოაქვთ.

ახლა ახალქალაქში სწრაფი ტემპით მიმდინარეობს სპეციალური ქარხნის მშენებლობა, რომელიც გამოუშვებს მოწყობილობას კიდული ბაგირგზებისათვის.

საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 9 ტრესტის ახალქალაქის № 121 მოძრავი მექანიზებული კოლონის კოლექტივმა, რომელიც ახალ საწარმოს აშენებს, ვალდებულება იკისრა იგი საექსპლოატაციოდ გადასცეს 1983 წლისათვის.

სურათებზე: მოწინავე მშენებლები (მარცხნიდან) გიორგი ავაქიანი, ვასილ ტიმახჩუკი და მიხეილ კაზაკოვი; ამონტაჟებენ ახალქალაქის ქარხნის მთავარი კორპუსის კონსტრუქციებს.

ვ. მორგუნოვის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

კრიტიკული გამოსვლის შემდეგ

„კომუნისტს" უპასუხებს

ჭიათურის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ო. გოგატიშვილი

„კომუნისტის" მიმდინარე წლის 19 აგვისტოს ნომერში დაიბეჭდა გაზეთის საკუთარი კორესპონდენტის ო. ნიქაბაძის კრიტიკული წერილი — „ვისია, ვისი ბინა ახალი"..., რომელიც შეეხებოდა ქალაქ ჭიათურაში ბინათსარგებლობისა და ბინების განაწილების საქმეში არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებებს.

წერილში მოყვანილი ფაქტები სინამდვილეს შეესაბამება და ძირითადად ემყარება საქართველოს კომპარტიის ჭიათურის საქალაქო კომიტეტის ბიუროს მასალებს, რაზეც საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ო. ხოფერიამ ოფიციალური პასუხი გამოუგზავნა რედაქციას. მაგრამ საბინაო მდგომარეობა ადამიანისათვის ერთ-ერთი ყველაზე სასიცოცხლო და მტკივნეული საკითხია. ამიტომ როგორც საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ, რომელიც ყველაზე მეტად არის პასუხისმგებელი წერილში აღნიშნული ნაკლოვანებებისათვის, საჭიროდ ჩავთვალე ზოგი რამ უფრო დაწვრილებით მეამბნა მკითხველისათვის.

წერილში აღწერილ ხარვეზებსა და ნაკლოვანებებზე ჯერ კიდევ აპრილში, გაზეთში წერილის გამოქვეყნებამდე იმსჯელა პარტიის საქალაქო კომიტეტის ბიურომ. მიღებულ დადგენილებაში — „ქალაქ ჭიათურაში ბინათსარგებლობის საქმეში არსებული სერიოზული ნაკლოვანებებისა და დარღვევების შესახებ" ბიურომ პრინციპულად და მკაცრად შეაფასა შექმნილი მდგომარეობა, არადამაკმაყოფილებლად ცნო საქალაქო საბჭოს აღმასკომის, „ჭიათურმანგანუმის" სამთამადნო კომბინატის, „ჭიათურმარგანშენის" № 8 ტრესტის ხელმძღვანელთა მუშაობა, დასახა კონკრეტული ღონისძიებანი და განსაზღვრა შემოწმების სისტემა.

სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომმა ბიუროს დადგენილების შესრულებისათვის შეიმუშავა და დაამტკიცა ღონისძიებათა ფართო გეგმა და შეუდგა მის პრაქტიკულ განხორციელებას.

საცხოვრებელ სახლებში მობინადრეთა დაგვიანებით შესახლების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ის არის, რომ ხშირად საექსპლოატაციოდ გადასცემენ ხოლმე უხარისხოდ აშენებულ სახლს. აღმასკომმა საგანგებოდ შეისწავლა და განიხილა საბინაო და სოციალურ-კულტურული დანიშნულების ობიექტების მშენებლობის ხარისხის გაუმჯობესების საკითხი და გადამჭრელი ზომები მიიღო, რათა საექსპლოატაციოდ არ მიიღონ არც ერთი სახლი, რომელიც უხარისხოდ და არასრულყოფილად იქნება აშენებული და მოწყობილი.

15 მაისს აღმასკომმა განიხილა საკითხი „ქალაქის საბინაო მშენებლობის განვითარების ღონისძიებათა შესახებ". მიღებული დადგენილების შესაბამისად მიღწეულია შეთანხმება სათანადო სამინისტროებთან და უწყებებთან ჭიათურაში საცხოვრებელი სახლების მშენებლობაში წილობრივი მონაწილეობის შესახებ, რომლის განხორციელებაც საშუალებას მოგვცემს ორ-სამ წელიწადში საცხოვრებელი ბინებით დავაკმაყოფილოთ ბინის მიღების აღრიცხვაზე მყოფ მოქალაქეთა 70 პროცენტი.

გაიზარდა და გადახალისდა საქალაქო საბჭოს აღმასკომთან არსებული საბინაო საზოგადოებრივი კომისიის შემადგენლობა. ამ კომისიამ აღმასკომის მუშაკებთან ერთად დიდი მუშაობა გასწია საწარმო-დაწესებულებებში ბინის მთხოვნელთა რიგის დადგენისათვის. ამჟამად ყველა საწარმოსა და ორგანიზაციაში ბინის მიღების აღრიცხვაზე მყოფთა რიგითობის საკითხი განხილულია მუშა-მოსამსახურეთა კრებებზე და დამტკიცებულია აღმასკომის მიერ.

ამჟამად ჩვენს ქალაქში ბინით დაკმაყოფილებულია სამამულო ომის ყველა ინვალიდი და ომში დაღუპულთა ყველა ოჯახი, მოსახლეობა უკვე გამოიყვანეთ ბარაკისა და სარდაფის ტიპის ბინებიდან და კეთილმოწყობილი ბინები მივეცით.

გადამჭრელი ზომები მივიღეთ იმ პირთა მიმართ, რომლებსაც საცხოვრებელი ბინები თვითნებურად ან უკანონოდ ჰქონდათ დაკავებული.

საქალაქო საბჭოს აღმასკომმა განიხილა აღმასკომის საბინაო კომუნალური განყოფილების საბინაო სამმართველოს მუშაობის საკითხი და ბინათსარგებლობის წესების დაცვის საქმეში არსებული სერიოზული დარღვევებისათვის სამუშაოდან გაათავისუფლა ამ სამსახურის უფროსი ს. გაფრინდაშვილი, დაისაჯნენ კომუნალური სამსახურის სხვა მუშაკებიც.

ზემდგომი ორგანოების დადგენილებათა შესაბამისად ახლახან საქალაქო საბჭოს აღმასკომმა მიიღო დადგენილება უწყებათა ბალანსზე რიცხული საცხოვრებელი ფართობის აღმასკომის საბინაო-კომუნალური მეურნეობის განყოფილების ბალანსზე გადაცემის შესახებ. ეს ოპერაცია მიმდინარე წლის ბოლომდე დამთავრდება, რაც შესაძლებლობას მოგვცემს უკეთესად და მიზნობრივად გამოვიყენოთ საბინაო ფონდი, სრული წესრიგი დავამყაროთ ბინათსარგებლობის საქმეში.

პარტიის საქალაქო კომიტეტის ბიუროს დადგენილების შესასრულებლად აღმასკომმა მიიღო გადაწყვეტილება კომუნალური საცხოვრებელი ბინების მასობრივი საზოგადოებრივი დათვალიერების შესახებ, რომელიც პირველი სექტემბრიდან პირველ ოქტომბრამდე მოეწყო. დათვალიერების მიზანი იყო გამოევლინებინა გამოუყენებელი ბინები, უკანონო მფლობელები, ბინების ტექნიკური და სანიტარული მდგომარეობა, საცხოვრებელი ფონდის კაპიტალური და მიმდინარე შეკეთების მიმდინარეობა და ხარისხი, აგრეთვე შენობათა ფასადების, სადარბაზოების მდგომარეობა, ეზოების კეთილმოწყობა, მოსახლეობის სასმელი წყლით და ელექტროენერგიით უზრუნველყოფის საკითხები, კანალიზაციის სისტემების მუშაობა, დასახლებული უბნების, ქუჩების სანიტარული მდგომარეობა.

დათვალიერების შედეგები ლე შეჯამდება სპეციალური კომისიის მიერ, რომლის შემადგენლობაში შედიან საქალაქო საბჭოს და უწყებათა ხელმძღვანელები, დეპუტატები, პრესის მუშაკები.

აი მოკლედ იმ ღონისძიებათა შესახებ, რომელიც ხორციელდება პარტიის ჭიათურის საქალაქო კომიტეტის ბიუროს მიერ ჭიათურაში ბინათსარგებლობის საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად, მიღებული დადგენილების შესრულებისათვის.

ო. ნიქაბაძის კრიტიკულ წერილში მოყვანილი ფაქტები ძირითადად პარტიის საქალაქო კომიტეტის ბიუროს მასალებს ემყარება, მაგრამ, სამწუხაროდ, მასში თითქმის არაფერია ნათქვამი იმ ნაბიჯებზე, ჩვენი ქალაქის მშრომელთა საბინაო მდგომარეობის გაუმჯობესების საქმეში საქალაქო კომიტეტის ბიუროს აღნიშნული დადგენილების შემდეგ რომ გადაიდგა.

ამით, რასაკვირველია, იმის თქმა როდი მინდა, თითქოს ბინათსარგებლობის საქმეში ყველა ნაკლოვანება გამოვასწორეთ და გასაკეთებელი აღარაფერი დაგვრჩა, ნაკლოვანებები კიდევ ბევრი გვაქვს, რომელთა გამოსწორებისათვის პარტიის საქალაქო კომიტეტის დახმარებით დიდ თანმიმდევრული, დაძაბული მუშაობა მოგველის.

დიახ, ბინათსარგებლობის საქმეში დღესაც ბევრი ნაკლოვანება გვაქვს. ეს საკუთარი თვალით შეეძლო ენახა კორესპონდენტს ადგილზე რომ შეემოწმებინა მდგომარეობა. ასეთ ფაქტებზე აგებული კრიტიკული წერილი ცხადია, უფრო დაგვეხმარებოდა, ვიდრე იმ ნაკლოვანებათა გახსენება და აღნუსხვა, რომლებიც თვითონაც კარგად ვიცით და ღონისძიებანიც დავსახეთ მათ აღმოსაფხვრელად.

ჩვენ მუდამ გვახსოვს და ხელმძღვანელოდ გვაქვს ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის მითითება სკკპ XXVI ყრილობაზე, როცა თქვა: „ბინების განაწილებაში საჭიროა განსაკუთრებული გულისხმიერება, ობიექტურობა და სამართლიანობა". ჭიათურის საქალაქო საბჭოს აღმასკომი ყველა ღონეს იხმარს, რათა დანერგოს დასახული ღონისძიებათა შესრულებისა და კონტროლის ისეთი სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს ჩვენს ქალაქში ბინათსარგებლობის წესების დაცვისა და ბინების განაწილების საქმეში სანიმუშო წესრიგის დამყარებას.

მედიცინის აქტუალური პრობლემები

5 ოქტომბერს თბილისში, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სხდომათა დარბაზში გაიხსნა მეორე სამეცნიერო კონფერენცია, რომლის მონაწილეები იხილავენ კლინიკური ფარმაკოლოგიისა და სამკურნალწამლო საშუალებათა თანამედროვე მოქმედების პრობლემებს. კონფერენცია მოიწვიეს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროებმა, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიამ, სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიამ და საქართველოს პროფსაბჭოს მედიცინის მეცნიერ მუშაკთა საბჭომ. მასში მონაწილეობენ ჩვენი ქვეყნის სამედიცინო სამეცნიერო ცენტრების წამყვანი სპეციალისტები, უნგრეთისა და ჩეხოსლოვაკიის, ამერიკის შეერთებული შტატების, საფრანგეთის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და იაპონიის მეცნიერები.

მედიკოსთა თბილისის შეხვედრის დღის წესრიგშია გულისა და არტერიულ სისხლძარღვთა იშემიური დაავადების, ათეროსკლეროზის მკურნალობაში, რევმატულ დაავადებათა წამლებით მკურნალობაში ახალ მიმართულებათა და იმუნოფარმაკოლოგიისა და ფარმაკოგენეტიკის დარგში გამოკვლევების, ფსიქონევროლოგიურ დაავადებათა მკურნალობაში მიღწეული წარმატებების განხილვა.

კონფერენცია გახსნა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა ე. ხარაძემ.

მედიკოსთა თბილისის შეხვედრის განმასხვავებელი ნიშანი, თქვა ორატორმა, ის არის, რომ მის მუშაობაში სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსა და სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ინსტიტუტებთან ერთად მონაწილეობენ აგრეთვე სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო დაწესებულებები და სხვები, და რომ გამოყენებითი ხასიათის ნაშრომებთან ერთად კონფერენციაზე ფართოდ არის წარმოდგენილი ფუნდამენტური გამოკვლევები ახალი სამკურნალწამლო პრეპარატების შემუშავებისა და გამოცდის დარგში.

კონფერენციის მონაწილეებს მიესალმნენ თბილისის უნივერსიტეტის რექტორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ვ. ოკუჯავა, ფსიქიატრიის ინსტიტუტის დირექტორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი ა. ზურაბაშვილი, კარდიოლოგიის საკავშირო სამეცნიერო ცენტრის კარდიოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი, სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი ი. შხვაცაბაია, ვაშინგტონის ფარმაკოლოგიური ინსტიტუტის დირექტორი პროფესორი ფ. ვოლფი, პროფესორი რ. ნიტცი (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა), კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე, თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის კათედრის გამგე პროფესორი ს. კობალაძე და სხვები.

კონფერენციის საზეიმო გახსნაზე საქართველოს მედიცინის მეცნიერ მუშაკთა საბჭოს საპატიო წევრების დიპლომები გადასცეს აკადემიკოს ი. შხვაცაბაიას (მოსკოვი), პროფესორებს ვოლფს (აშშ), რ. ნიტცს (გფრ) და სხვებს.

კონფერენცია ოთხ დღეს მიმდინარეობს. მის ფარგლებში თბილისში მოეწყობა საქართველო-უნგრეთის მეხუთე სიმპოზიუმი.

(საქინფორმი).

მხატვრული სიტყვის ძალა და უკვდავება

(დასასრული)

მარნეულსა და წერაქვში გამართულ საიუბილეო ზეიმში მონაწილეობდნენ ამხანაგები გ. ნ. ენუქიძე, თ. ნ. მენთეშაშვილი, ბ. ვ. როსტიაშვილი, ო. ე. ჩერქეზია ი. ნ ორჯონიკიძე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის განყოფილებათა გამგეები ნ. შ. ჯანბერიძე, ო. შ. ქაჯაია, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საქმეთა მმართველი თ. ი. ხელაშვილი, საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანი ნ. ვ. გურგენიძე, სსრ კავშირის მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანი, ლენინური პრემიის ლაურეატი ჩ. ტ. აიტმატოვი, სსრ კავშირის მწერალთა კავშირთან არსებული ქართული ლიტერატურის საბჭოს თავმჯდომარე ე. ა. ევტუშენკო.

აქ აღიმართება მიხეილ ჯავახიშვილის ძეგლი

ბახტრიონის ქუჩისა და მშვიდობის პროსპექტის გზაჯვარედინზე თვალწარმტაც სკვერში საძირკველი ჩაეყარა მხატვრული სიტყვის გამოჩენილი ოსტატის მიხეილ ჯავახიშვილის ძეგლს. ამ მოვლენას მიეძღვნა თბილისის საზოგადოებრიობის მიტინგი, რომელიც შესავალი სიტყვით გახსნა თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ გ. გაბუნიამ.

... გავა ცოტა ხანი და ბრინჯაოში ხორცშესხმული მწერალი-მოქალაქე სამუდამოდ დამკვიდრდება თავის მშობლიურ ქალაქში. აქ ივლიან მისი უკვდავი ქმნილებების ახალ-ახალი თაობათა მრავალრიცხოვანი მკითხველები, რომ თაყვანი სცენ მის ნათელ ნიჭს.

მართალი იყო უკრაინის მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანი ი. მუშკეტიკი, როცა მიტინგზე მიხეილ ჯავახიშვილს მთელი საბჭოთა ლიტერატურის სიამაყე უწოდა, რადგან მწერლის შემოქმედება დღეს თანაბრად ეკუთვნის ჩვენი დიადი ქვეყნის ყველა ხალხს, გვასწავლის სიკეთესა და თავდადებას, სიყვარულსა და ერთგულებას.

საბჭოთა ლიტერატურაში მიხეილ ჯავახიშვილის წვლილის შესახებ თავიანთ გამოსვლებში ილაპარაკეს გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს" რედაქტორმა, მწერალმა ვ. ჭელიძემ, საქართველოს მხატვართა კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ, რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატმა მოქანდაკე ე. ამაშუკელმა, თბილისის საწარმოო გაერთიანების „ელმავალმშენებლის" მუშამ გ. მეტონიძემ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტმა, რუსთაველის სტიპენდიატმა ნ. ხოჭოლავამ.

საიუბილეო ზეიმის მონაწილეებმა, მოსკოვიდან, უკრაინიდან, სომხეთიდან, აზერბაიჯანიდან, აფხაზეთიდან, სამხრეთ ოსეთიდან ჩამოსულმა სტუმრებმა, ახალგაზრდობამ ყვავილებით შეამკეს გრანიტის ლოდი, რომელზეც ქართულ და რუსულ ენებზე ამოკვეთილია სიტყვები: „აქ აღიმართება დიდი ქართველი საბჭოთა მწერლის მიხეილ ჯავახიშვილის ძეგლი".

მიტინგს დაესწრნენ ამხანაგები გ. ნ. ენუქიძე, თ. ნ. მენთეშაშვილი, ო. ე. ჩერქეზია თ. ი. მოსაშვილი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის კულტურის განყოფილების გამგე ნ. შ. ჯანბერიძე, საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის მეორე მდივანი ნ. ვ. გურგენიძე, სსრ კავშირის მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანი, ლენინური პრემიის ლაურეატი, სსრ კავშირის მწერალთა კავშირთან არსებული ქართული ლიტერატურის საბჭოს თავმჯდომარე პოეტი ე. ა. ევტუშენკო.

გამოფენა გვიამბობს

5 ოქტომბერს გ. ლეონიძის სახელობის ლიტერატურის მუზეუმში გაიხსნა მიხეილ ჯავახიშვილის ცხოვრებისა და შემოქმედებისადმი მიძღვნილი წიგნებისა და ილუსტრაციების გამოფენა.

მწერლის ნაწარმოებების სხვადასხვა გამოცემათა სამასამდე იშვიათი ფოტოსურათი, კინო და თეატრალური აფიშები წარმოგვიდგენენ დიდი ხელოვნისა და მოქალაქის, პატრიოტისა და ინტერნაციონალისტის საოცარ სამყაროს.

გამოფენა შესავალი სიტყვით გახსნა მუზეუმის დირექტორმა პოეტმა ი. ორჯონიკიძემ.

ვერნისაჟზე იყვნენ ამხანაგები გ. ნ. ენუქიძე, თ. ნ. მენთეშაშვილი, ო. ე. ჩერქეზია, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის კულტურის განყოფილების გამგე ნ. შ. ჯანბერიძე, საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის მეორე მდივანი ნ. ვ. გურგენიძე, მოძმე მოკავშირე რესპუბლიკებიდან მ. ჯავახიშვილის დაბადების 100 წლისთავის საიუბილეო ზეიმზე ჩამოსული სტუმრები. (საქინფორმი).

სურათზე: გამოჩენილი ქართველი საბჭოთა მწერლის მიხეილ ჯავახიშვილის ძეგლი მარნეულში.
ი. დავითაშვილის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ერთა ძმობის მესიტყვე

ქართულ ლიტერატურაში ძნელად მოიძებნება მეორე მწერალი, რომელიც ისე დაინტერესებულა აზერბაიჯანის ცხოვრებით, როგორც მიხეილ ჯავახიშვილი. ეს შეიძლება იმითაც აიხსნას, რომ მომავალი მწერლის მშობლიურ სოფელ წერაქვში მრავალი აზერბაიჯანელი ცხოვრობდა. მიხეილი, თანასოფლელთა მსგავსად სწავლობდა აზერბაიჯანელთა ენას, ზნე-ჩვეულებებსა და ტრადიციებს, მათ ხასიათს, აზერბაიჯანის ისტორიას, მოძმე ხალხის მდიდარ ზეპირსიტყვიერებას.

მ. ჯავახიშვილმა შრომითი საქმიანობა ალავერდის სპილენძსადნობ ქარხანაში დაიწყო. ამ პერიოდის შთაბეჭდილებანი დაედო საფუძვლად მის სტატიას „ორი დღე ალავერდის მაღაროებში". სტატიაში ისეთი ოსტატობითა და სიმართლით არის აღწერილი მუშათა მძიმე მდგომარეობა, მათი შრომის აუტანელი პირობები, რომ აუღელვებლად ვერ წაიკითხავ. მუშათა შორის იყვნენ აზერბაიჯანელებიც. ავტორი მათ აზერბაიჯანულ ენაზე მიმართავს.

მ. ჯავახიშვილის პირველი ნაწარმოებების გმირი ქართველები ზოგჯერ აზერბაიჯანულად ლაპარაკობენ, ბაიათებს მღერიან. ამ თვალსაზრისით საინტერესოა მოთხრობა „მეჩქმე გაბო". ამ ნაწარმოების გმირმა — ჰუმანურმა გაბომ იცის აზერბაიჯანული ენა, სამუშაოდან დაბრუნებისას თავის ცოლს ხანუმას ამ ენაზე მიესალმება, როცა უჭირს, აზერბაიჯანულ ბაიათებს მღერის, მათში პოვებს დროებით ნუგეშს.

მ. ჯავახიშვილის მოთხრობა „კურკას ქორწილი" თავისი შინაარსით ახლოს დგას „მეჩქმე გაბოსთან". ამ ნაწარმოებში ვეცნობით მეხალიჩეებს, მეწაღეებს, ავტორმა დაგვიხატა აზერბაიჯანელი მეხალიჩის სახე. გარდა ამისა, ამ მოთხრობაში ნახსენებია ოქრომჭედელი აბდულა, რომელიც სასიძოს ვერცხლის ქამარს უმზადებს, ქართველი მიხაკო სადღეგრძელოში აზერბაიჯანულ ფრაზებს ხმარობს.

ქართველი პროზაიკოსი ჯერ კიდევ 1906 წელს გაზეთ „გლეხში", რომელსაც იგი რედაქტორობდა, წერდა: მე მინდა, რომ ყველანი — რუსი და თათარი (აზერბაიჯანელი — გ. ვ). ქართველი და სომეხი, ოსი და ებრაელი, ღარიბი და მდიდარი, გლეხი და თავადი მღვდელი და აზნაური თანასწორი იყვნენ კანონის წინაშე. მწერალი თავისი სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე ერთგული დარჩა ამ სიტყვებისა — ქმნიდა სხვადასხვა ერის წარმომადგენელთა დადებით სახეებს, გაბედულად ამხილებდა იმათ, ვინც ღვივებდა ეროვნულ შუღლს ანდა ახშობდა სოციალური სამართლიანობისათვის მოძრაობას.

მ. ჯავახიშვილი მებრძოლი და ოპტიმისტია, იგი აღწერს ადამიანის უბედურებას იმისათვის, რომ ხელი გაუწოდოს, დაეხმაროს ახლისა და ნათელის დამკვიდრებაში. იგი ყოველთვის მიმართავდა ცხოვრების ყველაზე რთულ, ყველაზე მნიშვნელოვან საკითხებს და ასახავდა კაპიტალისტური წყობილების ყველაზე დამახასიათებელ ნიშან-თვისებებს, ამის მკაფიო მაგალითია მოთხრობა „მართალი აბდულაჰ".

„მართალი აბდულაჰ" მწერალმა გულის კარნახით დაწერა. აზერბაიჯანელთა შორის ცხოვრებამ, მათი გმირული წარსულის, თანამედროვე ცხოვრების ცოდნამ მწერალს დიდი მასალა მისცა, დაეხმარა შექმნა აზერბაიჯანელის სრულყოფილი სახე.

მ. ჯავახიშვილის აბდულაჰი უბრალო გლეხია. შრომა, პატიოსნება, სინდისი, სიმართლე, მეგობრობა მისთვის ყველაზე მაღლა დგას.

აბდულაჰისა და შაქროს სახით ოსტატურად არის ნაჩვენები აზერბაიჯანელ და ქართველ ხალხთა ურღვევი მეგობრობა.

მიხეილ ჯავახიშვილი, როგორც სოციალური უსამართლობის შეურიგებელი მტერი, დაუცხრომლად იბრძოდა ეროვნული ჩაგვრის, დისკრიმინაციის წინააღმდეგ, ამხილებდა ყველას, ვინც ეროვნულ შუღლს თესავდა. ამ მხრივ საინტერესოა მოთხრობა „ლამბალო და ყაშა", სადაც დიდი მხატვრული ძალით არის მხილებული ნაციონალიზმი.

როგორც ვიცით, მ. ჯავახიშვილი მაღალმხატვრული რომანების ავტორია, ერთ-ერთ მათგანში „არსენა მარაბდელში" შექმნილია აზერბაიჯანელ დალი ჰასანის სახე.

ავტორმა ასახა საქართველო XIX საუკუნის პირველ ნახევარში. ეს ეპოქა წარმოდგენილია როგორც ბრძოლის ველი, კეთილისა და ბოროტის, ნათელისა და ბნელის, სიყვარულისა და სიძულვილის მკვეთრი შეტაკება. ამ ნაწარმოებში მოხსენებულია ქართული ეროვნული ხასიათი. არსენა თავისუფლების უდრეკი მებრძოლი, თავისი ხალხის ნამდვილი ბელადია.

„არსენა მარაბდელში" მკაფიოდ აისახა პატრიოტიზმისა და ხალხთა მეგობრობის იდეები. ერთმანეთის მხარდამხარ დგანან რუსი კარპიჩი, უკრაინელი ოსტაპი, აზერბაიჯანელი დალი ჰასანი, სომხები და ოსები. ყველა ისინი, მეფის თვითმპყრობელობის მიერ დევნილნი და ჩაგრულნი, გაერთიანდნენ და დამკვიდრდნენ ტყეებში, რათა ებრძოლონ იმათ, ვინც ხალხის ექსპლოატაციით გამდიდრდა, რათა მოაახლოონ ბედნიერებისა და თავისუფლების დღე. რატომ მიემხრნენ არსენას? იმიტომ, რომ ამ ხალხმა იცის — არსენა ხალხის თავისუფლებისათვის იბრძვის.

დალი ჰასანს ბევრი რამ სმენია არსენას გმირულ საქმეებზე და სურს შეხვდეს ამ სახალხო გმირს. მაგრამ ეს ადვილი არ არის, არავინ იცის ადგილი, სადაც განლაგებულია მისი რაზმი. აზერბაიჯანელი ჰასანი შემთხვევით ხვდება ქართველი ხალხის გმირს: მის ტყვეთა შორის აღმოჩნდება არსენაც, რომელიც იცნობს დალი ჰასანს, როგორც ვაჟკაცს, და იღებს მას თავის რაზმში. ისინი ხელთ იგდებენ მდიდართა ქონებას და უნაწილებენ ღარიბებს, ყოველნაირად ეხმარებიან გლეხებს, მეფის მოხელენი, არსენა რომ მოიშორონ და მისი თანამზრახველნიც მოსპონ, ცდილობენ ისარგებლონ დალი ჰასანით, მაგრამ აზერბაიჯანელი ვაჟკაცი მეგობრის ერთგულია და არაერთგზის ამტკიცებს ამას.

ნაწარმოების მთავარი გმირი არსენა ოძელაშვილი ისტორიული პიროვნებაა, ქართველი ხალხის ეროვნული გმირია. ეჭვი არ არის, რომ დალი ჰასანიც ისტორიული პიროვნებაა, ყაჩაღობის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი წარმომადგენელია, აზერბაიჯანსა და საქართველოს ბორჩალოს მაზრაში რომ გავრცელდა. ეტყობა, დალი ჰასანი ისეთივე სახელმოხვეჭილი ყოფილა საქართველოში, როგორც არსენა ოძელაშვილი.

საინტერესოა: არის თუ არა მსგავსება ი. პოლონსკის (მას ა. ბაკიხანოვისა და მ. ახუნდოვის დახმარებით შეუსწავლია აზერბაიჯანული ენა და ზეპირსიტყვიერება) პოემა „ქარავნის" გმირის — ყაჩაღ ჰასანის სახესა და მიხეილ ჯავახიშვილის დალი ჰასანს შორის?

ჩვენი აზრით, პოლონსკის ჰასანი და ჯავახიშვილის დალი ჰასანი ერთი და იგივე პირია. რუსი პოეტი დაინტერესებული იყო ყაჩაღობის წარმოშობითა და განვითარებით, სწავლობდა ყაჩაღთა ბუნებას, ხასიათს, ყაჩაღ დამდამირთან საუბარმა, რომელიც ბორჩალოს ციხეში გაიცნო, მისცა მას თემა პოემის შესაქმნელად. შესაძლოა, დამთამირისაგან სმენია პოეტს ყველაზე ცნობილი აზერბაიჯანელი ყაჩაღის ჰასანის ამბები. ორივე მწერლის გმირები — პოლონსკის ჰასანი და ჯავახიშვილის დალი ჰასანი ერთმანეთის მსგავსი ბუნების ადამიანები არიან: იბრძვიან მდიდართა წინააღმდეგ, ეხმარებიან ღარიბ-ღატაკებს.

იბადება აგრეთვე კითხვა: თუ პოლონსკისა და ჯავახიშვილის გმირები ერთი და იგივე პირია, მაშ რატომ იხსენიება ერთი ჰასანად, მეორე კი დალი ჰასანად? რომელია სწორი?

ჩვენი აზრით, მიხეილ ჯავახიშვილის სახალხო გმირის სახელი უფრო სწორია. შესაძლოა, რომ ხალხმა, რომელიც ითვალისწინებდა მის ვაჟკაცობასა და გმირობას, ქოროღლის ერთ-ერთი მებრძოლი დაამსგავსა დალი ჰასანს და სახელს დაუმატა სიტყვა „დალი", რაც აქ „მებრძოლს" ნიშნავს.

ყოველივე ზემოთქმული ადასტურებს, რომ მ. ჯავახიშვილი საფუძვლიანად იცნობდა არა მარტო აზერბაიჯანელთა ცხოვრებას, არამედ კარგად იცოდა აზერბაიჯანული ენაც.

გამიდ ველიევი,
ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი.

ადამიანის სასიკეთოდ

სოციალისტურ ქვეყნებში დაზღვევა საზოგადოებრივი წარმოებისა და ხალხის სამსახურშია ჩაყენებული და მის ინტერესებს ემსახურება.

საბჭოთა სახელმწიფო დაზღვევას დასაბამი მისცა სახელმწიფო დაზღვევის შესახებ ვ. ი. ლენინის მიერ 1921 წლის 6 ოქტომბერს ხელმოწერილმა სახალხო კომისართა საბჭოს დეკრეტმა.

თუ საბჭოთა ხელისუფლების პირველ ხანებში დაზღვევა ძირითადად მხოლოდ მშრომელ გლეხობას ემსახურებოდა, საკოლმეურნეო მოძრაობის დიდმა გაქანებამ დაზღვევის წინაშე დააყენა ახალი პასუხსაგები ამოცანები. კერძოდ, კოლმეურნეობათა ეკონომიკის განმტკიცება, ბუნების სტიქიური მოვლენებისაგან კოლმეურნეობებისათვის მიყენებული ზარალის ანაზღაურება, აგრეთვე გლეხური მეურნეობებისათვის დახმარების გაწევა, რათა ისინი დამდგარიყვნენ მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნის გზაზე.

სოციალისტური მეურნეობის გეგმიანი განვითარების პირობებშიც შესაძლებელია წარმოიშვას დროებითი დისპროპორციები. ასეთ ცალკეულ შეუსაბამობათა მიზეზები სხვადასხვაგვარი შეიძლება იყოს. ერთ-ერთი მათგანია ბუნების სტიქიური მოვლენები, კერძოდ, სეტყვა, გრიგალი, მიწისძვრა, წყალდიდობა, ყინვა, გვალვა, აგრეთვე ხანძარი და სხვა.

ასეთ შემთხვევებში საჭიროა განხორციელდეს ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფს დაზარალებული მეურნეობისათვის დახმარებას, დანგრეულ, დაზიანებულ შენობა-ნაგებობათა, აგრეთვე საწარმოო საშუალებათა აღდგენას.

საბჭოთა სახელმწიფო დაზღვევა მჭიდროდ არის დაკავშირებული მშრომელთა ინტერესებთან. იგი მოწოდებულია დახმარება აღმოუჩინოს მშრომელებს სწორედ მაშინ, როცა მათ ცხოვრებაში განსაკუთრებული ვითარება იქმნება. ამიტომ წლიდან წლამდე სახელმწიფო დაზღვევა დიდ მნიშვნელობას იძენს მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის განმტკიცების საქმეში. უკანასკნელ წლებში შეიქმნა მშრომელთა პირადი ქონების დაზღვევის უფრო შეღავათიანი პირობები. გაფართოვდა დაზღვევის პასუხისმგებლობის მოცულობა, შემცირდა გადასახდელების ტარიფები, შემოღებულია დაზღვევის ახალი სახეობანი. ამ მიმართულებით დიდი მუშაობა წარმოებს ამჟამადაც.

მშრომელთა პირადი დაზღვევა დიდი პოპულარობით სარგებლობს და იგი უკვე მოთხოვნილებად იქცა. მუშა-მოსამსახურეთა განსაკუთრებული მოწონებით სარგებლობს სიცოცხლის დაზღვევა და მისი შესატანების გადახდის უნაღდო ანგარიშსწორების ფორმა. ხელფასებიდან შესატანების დაქვითვის შემოღების შემდეგ ბევრ საწარმოსა და ორგანიზაციაში, აგრეთვე საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში მშრომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი ჩაება პირად დაზღვევაში. ისინი დიდი ხალისით აზღვევენ აგრეთვე თავიანთ საოჯახო ქონებას, სასოფლო-სამეურნეო ცხოველებს, შენობა-ნაგებობებს, განსაკუთრებით კი სატრანსპორტო საშუალებებს. რა სიკეთე მოაქვს ამ სახეობათა დაზღვევას მოსახლეობისათვის?

ალბათ ყველას კარგად ემახსოვრება დმანისის რაიონში მომხდარი ძლიერი მიწისძვრა. გულახდილად უნდა ვთქვათ, რომ არ გვეგონა, თუ ასე საარაკოდ მოკლე დროში დამკვიდრდებოდა ამ რაიონში ნორმალური ცხოვრება. საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ დარაზმეს რესპუბლიკის მთელი რიგი რაიონები, ორგანიზაციები და ამით ყველა პირობა შეუქმნეს მოსახლეობას, რათა, თუ შეიძლება ითქვას, რამდენიმე დღეში წესრიგში მოეყვანა პირადი მეურნეობა. სწორედ ამ მძიმე პერიოდში დაზარალებულ მოსახლეობას გვერდში ამოუდგა და დიდი და შრომატევადი სამუშაოები გასწია სახელმწიფო დაზღვევამ. დმანისში მობილიზებული იყო დაახლოებით 140 მუშაკი, კარდაკარ შემოვლით შემოწმდა 7000 მეურნეობა და მოსახლეობას ზარალის ასანაზღაურებლად მიეცა 1,1 მილიონი მანეთი.

ეს არცთუ ისე პატარა თანხაა, ანალოგიური მაგალითების მოყვანა მრავლად შეიძლება. გავიხსენოთ თუნდაც წლევანდელი ქარიშხალი და წყალდიდობა დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს რაიონებში და სხვა.

არ იქნებოდა ურიგო, თუკი მოვიყვანდით რამდენიმე ციფრს უკანასკნელი ხუთწლედის მაჩვენებლებიდან, რომლებიც დაზღვევის სარგებლობაზე მეტყველებს. ასე, მაგალითად: მეათე ხუთწლედში შენობების დაზღვევაში გაიცა 1.896 ათასი მანეთი, საოჯახო ქონების დაზღვევაში — 3.275 ათასი მანეთი, ტრანსპორტის დაზღვევაში — 2.439 ათასი მანეთი, ცხოველების დაზღვევაში — 2.961 ათასი მანეთი, მოქალაქეთა უბედური შემთხვევებისაგან დაზღვევაში — 3.509 ათასი მანეთი, ხოლო სიცოცხლის დაზღვევაში — 4.436 ათასი მანეთი.

ციფრები ციფრებად რჩება, მაგრამ ციფრებს უკან დგას ათასობით მადლიერი ადამიანი, რომლებსაც სახელმწიფო დაზღვევამ დახმარების ხელი გაუწოდა.

გ. ზაზაშვილი,
საქართველოს სსრ სახდაზღვევის მთავარი სამმართველოს უფროსის მოვალეობის შემსრულებელი.

ფაქტები □ მოვლენები □ გამოხმაურება □ კომენტარი

ვითარება პოლონეთში

ვარშავა. აფასებს რა გდანსკში პროფგაერთიანება „სოლიდარობის" ყრილობის მეორე ტურის დამთავრებასთან დაკავშირებით ქვეყანაში შექმნილ ვითარებას, პოლონეთის ყოველკვირეული „ჟეჩივისტოსტი" აღნიშნავს, რომ დაუყოვნებლივ უნდა მოეღოს ბოლო გაფიცვებს, ავანტიურებს, პროვოკაციებსა და ანარქიას. ახლა კი დროა დავრაზმოთ სახელმწიფოს განკარგულებაში მყოფი მთელი ძალები, რათა აილაგმოს როგორც აშკარა, ისე მცოცავი კონტრრევოლუცია. არ უნდა გვქონდეს იმის იმედი, რომ სოციალიზმისა და პოლონეთისადმი მტრული ძალები უბრძოლველად დაგვნებდებიან. „სოლიდარობის" ლიდერები თანამიმდევრულად და დაუნდობლად ესწრაფვიან თავიანთ მიზნებს. დღეს ისეთი საფრთხე შეგვექმნა, წერს შემდეგ ყოველკვირეული, რომლის მსგავსი არასოდეს ყოფილა ჩვენს ომისშემდგომ ისტორიაში. ბევრი პოლონელი დიდი შეშფოთებით შესცქერის მომავალს და მზარდი გულისტკივილით უგდებს ყურს დეკლარაციებს, რომელთა ეფექტი ახლა ერთობ სკეპტიკურად ფასდება. „სოლიდარობის" ხელმძღვანელობამ დაასამარა „დიალოგისა და შეთანხმების" გზა.

ილუზიების დრო დამთავრდა: უნდა ჩავებათ ჩვენთვის თავსმოხვეულ პოლიტიკურ ბრძოლაში, უნდა მივმართოთ პოლონეთის მთელ საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ძალებს, ვუთხრათ მათ სიმართლე.

მთელ სიმართლეს თუ ვიტყვით, „სოლიდარობის" მუშური მასები ზურგს შეაქცევენ ისეთ ადამიანებს, როგორებიც არიან რულევსკი, ბუიაკი, მიხნიკი, კურონი ან მოძელევსკი, ოღონდ რა თქმა უნდა იმ პირობით, თუ მკაფიოდ განისაზღვრა ფრონტის ხაზი როგორც პარტიაში, ისე საზოგადოებაში ვერ შევინარჩუნებთ შეტევითი მოქმედების უნარს, თუკი პარტიის რიგებში იქნებიან ისეთი ადამიანები, როგორიცაა გდანსკელი ლისი, რომელიც პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ლიკვიდაციას მოუწოდებს, და მისი მსგავსნი.

დადგა დრო, როცა ყოველმა პოლონელმა უნდა გააკეთოს არჩევანი ერთი მხრივ ანარქიასა და ნგრევას და მეორე მხრივ, პატიოსან შრომას შორის, რომელსაც შეუძლია ქვეყნის ამოყვანა უფსკრულიდან. ორ მებრძოლ ძალას შორის ადგილი არა აქვთ გულგრილ მეთვალყურეთ. ბრძოლა მიმდინარეობს ჩვენი საერთო ბედისათვის, ჩვენი ეროვნული მომავლისათვის.

პარტიის ცენტრალურ კომიტეტში მიღებული დეპეშებისა და წერილების ავტორთა უმრავლესობა მხარს უჭერს პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს განცხადებას და კატეგორიულად მოითხოვს კონკრეტულ მოქმედებას. სახელმწიფო ვერ იარსებებს კანონიერების დაუცველად, უშრომლად, შრომა კი ნაყოფს ვერ გამოიღებს კარგი ორგანიზაციის გარეშე. სიმშვიდე და წესრიგი აუცილებელი პირობებია სოციალისტური განახლების განსაგრძობად. ეკონომიკური და სოციალური რეფორმების განხორციელება შეიძლება ძირგამომთხრელი ძალების, პოლიტიკური ავანტიურისტებისა და პროვოკატორების წინააღმდეგ ბრძოლის გზით, — წერს დასასრულ ყოველკვირეული „ჟეჩივისტოსტი".

საქდესისა და ახალი ამბების სააგენტოს კორესპონდენტები გვატყობინებენ

საერთაშორისო
დედამიწის ზურგზე
ცხოვრება
5 ოქტომბერი

გამალებული შეიარაღების ესკალაციის კურსით

ვაშინგტონი. ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციამ გადადგა კიდევ ერთი, მეტად საშიში ნაბიჯი გამალებული ბირთვული შეიარაღების ესკალაციის გზაზე. თეთრ სახლში გამოსვლისას პრეზიდენტმა რ. რეიგანმა გამოაცხადა ამერიკული სტრატეგიული ბირთვული არსენალების შემდგომი გაძლიერების ახალი პროგრამა, რომელიც მოიცავს სტრატეგიული ძალების მთელ ტრიადას — მიწისზედა ბაზირების რაკეტებს, ზღვაზე ბაზირების რაკეტებსა და სტრატეგიულ ბომბდამშენებს. ეს პროგრამა მოწმობს, რომ ვაშინგტონი აშკარად ესწრაფვის მიაღწიოს სამხედრო უპირატესობას საბჭოთა კავშირთან შედარებით.

ამ პროგრამის ფარგლებში, რომელიც მხოლოდ მოაახლოებს ომის საფრთხეს, გათვალისწინებულია შეიმუშაონ და აწარმოონ „ბ-1" ტიპის ახალი სტრატეგიული ბომბდამშენი. ამ პროექტის მიღება 1977 წელს გადადო პრეზიდენტმა კარტერმა და შეცვალა იგი ფრთოსანი რაკეტების განლაგების პროგრამით. ახლა კი „ბ-1" პროგრამის პროექტს აღადგენენ ფრთოსანი რაკეტების განლაგებასთან ერთად, რომელთაგან 3 ათასი დაიდგმება „ბ-52" და „ბ-1" ტიპის სტრატეგიულ ბომბდამშენებზე, რამდენიმე ასეული კი წყალქვეშა ნავებზე.

თეთრი სახლის გადაწყვეტილება აშკარავებს ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციის პირფერულ პოზიციას, რომელიც სიტყვით თითქოსდა მთავარ ყურადღებას უთმობს შეიარაღების შეზღუდვის დარგში ხელმოწერილი და მომავალი შეთანხმებების შესრულებისადმი კონტროლის პრობლემას, სინამდვილეში კი გეგმავს სტრატეგიული იარაღის ისეთი სისტემების წარმოებას, რომლებიც პრაქტიკულად გამორიცხავენ ასეთი კონტროლის შესაძლებლობას.

ახალი პროგრამის შესაბამისად გაგრძელდება „სტელსის" ტიპის ბომბდამშენის დამუშავება, რომელიც ნაკლებმისაწვდომია, როგორც პენტაგონი ვარაუდობს, თანამედროვე რადერებისათვის, მიმდინარეობს „ბ-52" ტიპის ბომბდამშენისა და მფრინავი ტანკერების — „კს-135" ტიპის გამწყობი თვითმფრინავების მოდერნიზაცია.

პენტაგონი აპირებს ააშენოს სულ ცოტა 100 „მხ" ტიპის სტრატეგიული საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტა. მათი დადგმის ხერხი საბოლოოდ განისაზღვრება 1984 წლისათვის. გადაწყვეტილია, რომ „მხ" ტიპის რაკეტების ნაწილი დაუყოვნებლივ განლაგდება გამაგრებულ შახტებში, სადაც ახლა განლაგებულია „მინიტმენის" და „ტიტანის" ტიპის რაკეტები. რეიგანმა გამოაცხადა, რომ გაუქმდა იუტისა და ნევადის შტატებში 4600 მიწისქვეშა საფარში „მხ" ტიპის რაკეტების განლაგების ადრინდელი გეგმა, რადგან ამ შტატების მოსახლეობამ გადაჭრით გაილაშქრა პირველი ბირთვული დარტყმის ამ სისტემების განლაგების ავბედითი ზრახვების წინააღმდეგ.

ზღვაზე ბაზირების სტრატეგიული ძალების პროგრამა ითვალისწინებს ყოველწლიურად აშენდეს „ტრაიდენტის" ტიპის ერთი ატომური წყალქვეშა ნავი, რომელზეც დაიდგმება „დ-5" ტიპის ახალი სტრატეგიული რაკეტები. გათვალისწინებულია აგრეთვე სრულყონ კავშირგაბმულობისა და მართვის სისტემები სტრატეგიული ძალებისათვის, ამასთან ფართოდ გამოიყენონ „ე-4" ტიპისა და „ეს-135" ტიპის საჰაერო-საკომანდო პუნქტების თვითმფრინავები, აგრეთვე ავაქსის სადაზვერვო სისტემით აღჭურვილი თვითმფრინავები და კოსმოსური თანამგზავრები.

თეთრ სახლში გამოქვეყნებულ განმარტებით წერილში აღნიშნულია, რომ ეს პროგრამა განსაზღვრავს ამერიკის სტრატეგიული ბირთვული ძალების ხასიათს XXI საუკუნემდე და იგი უკანასკნელ რამდენიმე ათწლეულში მათი განლაგების ყველაზე დიდი პროგრამაა, ანუ როგორც ხაზგასმით აღნიშნა ტელეკომპანია ეი-ბი-სის მიმომხილველმა, ეს არის „ამერიკის შეერთებული შტატების სტრატეგიული ძალების ყველაზე მნიშვნელოვანი გადიდება ეიზენჰაუერის დროიდან". იუნაიტედ პრეს ინტერნეშნლის გამოანგარიშებით, ეს პროგრამა ამერიკელ ხალხს მარტო უახლოეს ხუთ წელიწადში დაუჯდება უზარმაზარი თანხა — 180 მილიარდი დოლარი.

რ. რეიგანს თავის გამოსვლაში არ დაუმალავს, რომ გამალებული შეიარაღების ახალი ზეპროგრამა მიმართულია საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. პრეზიდენტის მტკიცებანი იმის შესახებ, რომ საჭიროა აღდგეს მითური „უშიშროების რეზერვი" და მოისპოს ეგრეთ წოდებული „მოწყვლადობის ფანჯარა", ვერ შენიღბავს იმ ფაქტს, რომ მის მიერ გამოცხადებული პროგრამა აშკარა პრეტენზიაა ჰქონდეს სამხედრო უპირატესობა საბჭოთა კავშირთან შედარებით, ღონისძიებაა, რომლის მიზანია ძირი გამოუთხაროს სამხედრო-სტრატეგიულ დარგში არსებული პარიტეტის თანასწორობისა და თანაბარი უშიშროების პრინციპს.

ვაშინგტონის მტკიცებანი, თითქოს საბჭოთა კავშირს დაერღვიოს ძალების ბალანსი, სრულიადაც არ ეთანხმება იმას, რომ ამერიკის ოთხმა წინა ადმინისტრაციამ ოფიციალურად ცნო ძალთა თანაფარდობის არსებობის ფაქტი, ვინმე სხვამ კი არა, თვით თავდაცვის მინისტრმა კარტერის მთავრობაში ჰ. ბრაუნმა განაცხადა: „სტრატეგიული შეიარაღების დარგში არის დაახლოებითი თანასწორობა ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საბჭოთა კავშირს შორის. ჩვეულებრივ შეიარაღებაში ერთი მხრივ, ჩვენსა და ჩვენს მოკავშირეებს შორის და, მეორე მხრივ, საბჭოთა კავშირსა და მის მოკავშირეებს შორის, აგრეთვე არსებობს დაახლოებითი პარიტეტი".

რ. რეიგანი მხოლოდ გაკვრით შეეხო ადმინისტრაციის განზრახვას აწარმოოს მოლაპარაკება „შეიარაღებისადმი კონტროლის" შესახებ. და ეს სულაც არ არის შემთხვევითი.

არსებითად, რაკეტულ-ბირთვული შეიარაღების გაძლიერების ახალი გიგანტური პროგრამა, როგორც მიმომხილველები აღნიშნავენ, მეტად საეჭვოს ხდის ამერიკის ადმინისტრაციის განცხადებების გულწრფელობას, რომ სურს სერიოზული მოლაპარაკება. თვით რეიგანმაც თქვა, რომ ახალი ადმინისტრაცია აპირებს აწარმოოს ასეთი მოლაპარაკება „ძალის პოზიციიდან", რაც სრულიად უპერსპექტივოა, ვინაიდან საბჭოთა კავშირი ამას არ დაუშვებს.

საბჭოთა კავშირი არც ესწრაფოდა და არც ესწრაფვის სამხედრო უპირატესობას. თავისი ქვეყნისა და მოკავშირეების უშიშროების საიმედოდ დაცვისათვის ზრუნვა — მხოლოდ და მხოლოდ ეს ამოძრავებს სსრ კავშირს. მაგრამ იგი არ იქნება უმოქმედოდ, თუ ამერიკის შეერთებული შტატების არსენალებში გაჩნდება ახალი, კიდევ უფრო საშიში სახეობის იარაღი. ამ შემთხვევაში საბჭოთა შეიარაღებულ ძალებს ექნებათ სათანადო საშუალებანი, რომლებიც დაუპირისპირდება ასეთ იარაღს, საბჭოთა კავშირი ჯეროვან პასუხს გასცემს ყოველგვარ გამოწვევას, რათა შენარჩუნებულ იქნეს ძალთა თანაფარდობა.

საფრთხე ემუქრება ნიკარაგუელ ხალხს

პანამა. ამერიკა-ჰონდურასის სამხედრო-საზღვაო მანევრები „იგლ-ვისტა", რომელიც დაგეგმილია 7-9 ოქტომბერს მოეწყოს უშუალოდ ნიკარაგუის ატლანტიკური სანაპიროს მახლობლად, რეალურ საფრთხეს უქმნის ნიკარაგუელ ხალხს და სერიოზულ დაბრკოლებად აღიმართება ცენტრალურ ამერიკაში დაძაბულობის შენელების შემცირების გზაზე, განაცხადა პანამის ტელევიზიისათვის მიცემულ ინტერვიუში ნიკარაგუის საგარეო საქმეთა მინისტრმა მიგელ დესკოტომ.

მ. დესკოტომ განაცხადა, რომ ქვეყანაში პროვოკაციული მანევრების პერიოდში სამობილიზაციო მზადყოფნაა გამოცხადებული. ეს საგანგებო ღონისძიება, რომელიც ნიკარაგუის ეროვნული აღორძინების მთავრობამ მიიღო, არ არის ძალის დემონსტრაცია. იგი მოწმობს ნიკარაგუელი ხალხის გადაწყვეტილებას დაიცვას სამშობლო და რევოლუცია.

ამერიკა-ჰონდურასის მომავალი მანევრები მტკიცე პროტესტებს იწვევს არა მარტო ნიკარაგუაში, არამედ მთელ რეგიონშიც.

როგორც ჰონდურასის მშვიდობის დაცვის კომიტეტის თავმჯდომარემ ხუან ალმენდარესმა განაცხადა, მათ სხვა ვერაფრად მივიჩნევთ, თუ არა ნიკარაგუელი და ჰონდურასელი ხალხების შეურაცხყოფად.

მექსიკის მთელმა რიგმა ორგანიზაციებმა გამოხატეს პროტესტი იმასთან დაკავშირებით, რომ ამერიკისა და ჰონდურასის მხედრიონები ცდილობენ ზეგავლენა მოახდინონ სანდინისტურ სახალხო რევოლუციაზე. მექსიკის კომუნისტური პარტიის განცხადებაში ხაზგასმულია, რომ „იგლ-ვისტის" მანევრები ნიღბავს ნიკარაგუაში შეიარაღებული ჩარევის მზადებას.

პაკისტანის საომარი სამზადისი

დელი. ამერიკის შეერთებული შტატებისა და ჩინეთის აქტიური მხარდაჭერით პაკისტანი აჩქარებს თავის საომარ მზადებას, წერს ინდოეთის მთავრობასთან დაახლოებული გაზეთი „ნეშნლ ჰერალდი". ინდოეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს, აღნიშნავს გაზეთი, აქვს ცნობები იმის შესახებ, რომ ისლამაბადის რეჟიმმა მკვეთრად გაადიდა თავისი შეიარაღებული ძალების რიცხვი. 1972 წლიდან პაკისტანის ქვეითი და მოტორიზებული დივიზიების რაოდენობა ერთიორად და მეტად გაიზარდა. ამ ხნის მანძილზე დამატებით შეიქმნა კიდევ ორი ახალი საარტილერიო ბრიგადა და 10 ჯავშანსატანკო პოლკი, აშენდა ბევრი სამხედრო აეროდრომი, ერთიორად გადიდდა საჰაერო თავდაცვის ნაწილების რიცხვი. პაკისტანს სამხედრო მანქანის განმტკიცებაში დიდი დახმარება გაუწია ჩინეთმა, რომელმაც ამ ქვეყანას მიაწოდა 2,5 მილიარდი დოლარის იარაღი.

პაკისტანის მილიტარიზაციაში თვისებრივად ახალი ეტაპი გახდა შეერთებულ შტატებთან ამას წინათ დადებული სამხედრო გარიგება, რომლის შესაბამისად ისლამაბადი მიიღებს სამ მილიარდ დოლარზე მეტი ღირებულების შეიარაღებას.

როგორც ადგილობრივი პრესის ცნობებიდან ჩანს, თავისი შეიარაღებული ძალების ძირითად ნაწილს პაკისტანი გზავნის ინდოეთის მოსაზღვრე რაიონებში. ინდოეთში განსაკუთრებულ შეშფოთებას იწვევს ის ფაქტი, რომ პაკისტანის სამხედრო ზედა ფენის მილიტარისტულ სამზადისს ახლავს ინდოეთის საწინააღმდეგო აღვირახსნილი პროპაგანდა ქვეყნის შიგნით და მის საზღვრებს გარეთ. ამ პირობებში, აღნიშნავს „ნეშნლ ჰერალდი", ისლამაბადის ამასწინანდელ წინადადებას ინდოეთთან თავდაუსხმელობის პაქტის დადების შესახებ სხვაგვარად ვერ მივიჩნევთ, თუ არა პროპაგანდისტულ ხრიკად, რომლის მიზანია დაფაროს პაკისტანის მიერ თავისი სამხედრო ძლიერების ზრდა.

ნატოში ესპანეთის შესვლის წინააღმდეგ

მადრიდი. არც ერთი დღით არ წყდება ესპანეთში საპროტესტო მოძრაობა ნატოს მიმართ მმართველი წრეების პოლიტიკის წინააღმდეგ, რომლებიც ესპანეთის ხალხის ნების მიუხედავად ცდილობენ ჩაითრიონ ქვეყანა ამ აგრესიულ ორგანიზაციაში.

ამ მოძრაობას უერთდება სულ უფრო მეტი ესპანელი, რომლებიც გამოდიან ეროვნული ინტერესების დასაცავად და არ ეთანხმებიან ნატოში ესპანეთის მონაწილეობას. მარტო გასული კვირის დამლევს სხვადასხვა საზოგადოებრივი, პოლიტიკური ორგანიზაციისა და ნატოს საწინააღმდეგო კომიტეტის ინიციატივით ბილბაოში, კადისში, სან ფერნანდოში, მადრიდში მოეწყო მასობრივი ღონისძიებანი აგრესიულ ბლოკთან ქვეყნის შეერთების წინააღმდეგ.

ესპანელი ხალხის ანტიბლოკურ განწყობილებათა ერთ-ერთი გამოხატულება გახდა ნატოს საწინააღმდეგო კომიტეტის ინიციატივით მოწყობილი მანიფესტაცია მადრიდში. უკანასკნელ წლებში ამ ყველაზე გრანდიოზული მანიფესტაციის მონაწილეებმა მტკიცედ განაცხადეს, წინააღმდეგი ვართ, რომ ჩვენი ქვეყანა ნატოს მე-16 წევრი გახდესო. დემონსტრანტებმა ჩაიარეს მადრიდის ცენტრალურ ქუჩებში ტრანსპარანტებით, რომლებზეც, ეწერა ლოზუნგები: „ესპანეთი არ უნდა შევიდეს ნატოში", „გაუქმდეს ამერიკის ბაზები ესპანეთში!" „გვჭირდება სამუშაო და არა ნატო! ნატო ომს ნიშნავს". მასში მონაწილეობდნენ ისეთი თვალსაჩინო პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწეები, როგორიც არიან პარლამენტის დეპუტატები რამო ტამამესი, პაბლო კასტელიანოსი, ფერნანდო საგასეტა, ანდრეს ფერნანდესი, ცნობილი მწერლები, მსახიობები, მხატვრები.

ტელეტაიპის ლენტიდან

მოკლედ

● **დამასკო**

დამასკოში გრძელდება სიმტკიცისა და წინააღმდეგობის ეროვნული ფრონტის წევრი ქვეყნების წარმომადგენელთა კონსულტაციები. სირიის პრეზიდენტმა ჰ. ასადმა მიიღო ლიბიის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსი მუსტაფა ალ-ხარუბი, რომელმაც მას გადასცა ლიბიის რევოლუციის ლიდერის მ. კადაფის წერილი.

როგორც სანის სააგენტო იუწყება, შეხვედრის დროს განიხილეს საკითხი, თუ რა როლს ასრულებს სიმტკიცის ფრონტი იმპერიალიზმის მხრივ საფრთხის მოგერიებაში. მათ დასახეს ფრონტის შემდგომი განმტკიცების საჭირო ღონისძიებანი.

● **თეირანი**

ირანის შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოაქვეყნა 2 ოქტომბერს გამართული პრეზიდენტის არჩევნების შედეგები. კენჭისყრის მონაწილე 16 მილიონი ამომრჩევლიდან 15 მილიონ 200 ათასზე მეტმა კაცმა ხმა მისცა მმართველი ისლამური რესპუბლიკური პარტიის ლიდერის ალი ხოსეინი-ხამენეის კანდიდატურას. ამრიგად, ხოჯათ-ოლ-ესლამ ხოსეინი-ხამენეი გახდა პირველი რელიგიური მოღვაწე, რომელიც აირჩიეს ისლამური რესპუბლიკის პრეზიდენტად.

● **სან-ფრანცისკო**

820 ათასი კაცი — ამ გიგანტური ციფრით განისაზღვრება ამერიკის მარტო კალიფორნიის შტატის უმუშევართა არმია. მიმდინარე წლის სექტემბერში უმუშევრობის დონე აქ წინა თვესთან შედარებით 0,5 პროცენტით გაიზარდა. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ ახალგაზრდა კალიფორნიელები, რომლებმაც სკოლის დამთავრების შემდეგ ვერ იშოვეს სამუშაო. ახლა უმუშევარია და სამუშაოს მიღების იმედი პრაქტიკულად გადაწურული აქვს კალიფორნიელი ახალგაზრდობის 18,2 პროცენტს.

არდავიწყება მგოსნისა

ერთი წელი გავიდა იოსებ ნონეშვილის გარდაცვალებიდან, ერთი წელია აღარ გვესმის მისი ამაღლებული სიტყვა, შინაგანი არტისტული მგზნებარებით ნათქვამი ლექსი.

ხალხს ყოველთვის ჰყავს თავისი რჩეულნი. ამ რჩეულთა თანავარსკვლავედში დრო კიდევ უფრო მახლობელს გახდის მკითხველისათვის იოსებ ნონეშვილს — პოეტ-ტრიბუნს, უნაზეს ლირიკოსს, ერისა და მამულის, ქვეყნად მშვიდობისა და მეგობრობის გულმადლიან მომღერალს.

ნონეშვილის ოჯახის სახელზე მთელი წელია მოდის სამძიმრის დეპეშები თუ ნაღველით სავსე მოსაგონარი ბარათები, მოდის საქართველოსა და საბჭოთა კავშირის ყველა კუთხიდან, მოდის საზღვარგარეთის ქვეყნებიდან.

დღეს გვინდა უცხოეთიდან გამოგზავნილი რამდენიმე ბარათი (უამრავი ბარათებიდან) შემოგთავაზოთ.

აქვე ვბეჭდავთ ი. ნონეშვილის ერთ-ერთ ბოლო ფოტოსურათსაც. იგი გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე რედაქციაში ყოფნისას, ჩვეულ „ნონეშვილისებურ" საუბრისას გადაუღო პოეტს ჩვენმა ფოტოკორესპონდენტმა ს. კილაძემ.

□ ჩვენი კეთილი მეგობარი □ პოეტი—ტრიბუნი □ სიყვარულმა მათქმევინა □ ჭეშმარიტი პოეზიის მადლი □ საქართველო გაგვაცნო



ვერ წარმომიდგენია, თბილისში ჩამოვიდე და იგი არ ვნახო. საგამომცემლო საქმეების გამო რამდენჯერ ჩამოვსულვარ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან და ყოველთვის მიგრძვნია მისი დამსახურება კონსულტაციებით — თუ როგორ გამოვცეთ უკეთ გერმანულ ენაზე ქართული ლიტერატურა!

იოსებ ნონეშვილი აქტიურად მონაწილეობდა ანთოლოგიის „ქართული პოეზიის რვაასი წლის" — ჩვენში თავისი მასშტაბით უბადლო გამოცემის შექმნაში.

ყველაფერში, რაც კი ნაბეჭდია გერმანულ ენაზე ქართული ლიტერატურიდან, გამორჩეული წილი უდევს მას.

იოსებ ნონეშვილის ნათელი ხსოვნა მარადიულია ჩემს გულში.

ლეო კოსუტი.

●

სწორედ თბილისში ვნახე, რაოდენი პატივისცემით ეპყრობიან პოეტებს უბრალო ადამიანები. ეს ყველაზე მეტად მიგრძვნია საქართველოს დედაქალაქში, ვიდრე რომელიმე სხვა ქალაქში ყოფნისას.

რუსთაველის პროსპექტზე პოეტ ნონეშვილთან სეირნობა უდიდესი სიამოვნება იყო. ყოველი მხრიდან მიესალმებოდნენ მას, თითქოსდა ლიდერი და ხალხის აზრების მეუფე ყოფილიყოს. თუმცაღა, განა, მართლაც, არსებითად, ასეც არ იყო? შელის ოცნებას პოეტ-ტრიბუნსა და ბელადის შესახებ, როგორც ჩანს, საქართველოში შეესხა ხორცი, რამეც ერთხელ კიდევ დავრწმუნდი, როცა ტრიბუნიდან ვუსმენდი ავსტრალიაში იოსებ ნონეშვილს, რომელიც მშობლიურ ენაზე კითხულობდა თავის ლექსებს.

ჯუდა უოტენი,
ავსტრალიელი მწერალი.

●

არასოდეს დამავიწყდება იოსები (ჯოზეფი, როგორც ვეძახდი მას ინგლისში ყოფნისას). შეხვედრისთანავე დავმეგობრდით. მე სიამაყის გრძნობით ვთარგმნიდი და ვკითხულობდი მის ლექსებს ინგლისურად მაშინაც და მისი წასვლის შემდეგაც. ძალიან მინდოდა მესარგებლა მისი მოწვევით და ჩამოვსულიყავი მგოსნის მშობლიურ საქართველოში, რომელიც ასეთი ღრმა სიყვარულით უყვარდა.

ნორთამბერლენდის ქუჩის კუთხეს ნიუკასლში, სადაც ჩვენი გზები გადაიკვეთა, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ჩემთვის, რადგან სწორედ იქ შეყოვნდა ერთ წამს იოსები და მერე გადამეხვია გაკვირვებულ და მომღიმარე ინგლისელთა თვალწინ! ინგლისელებს, როგორც ალბად მოგეხსენებათ, არ უყვართ თავიანთი გრძნობების ასეთი დემონსტრირება, მაგრამ იოსებმა საკუთარი წესი მასწავლა და მეც მივსდევ მას, თუმცა ბევრს ეს ინგლისელებისათვის საკმაოდ უცნაურად ეჩვენება! და გასაოცარია, რომ ზუსტად ამ ადგილას (ნორთამბერლენდის ქუჩაზე) 1980 წლის 23 ოქტომბერს გავიგე იოსების გარდაცვალების მოულოდნელი, სამწუხარო ამბავი. დიდ ხანს ვერ დავიჯერე, რომ ეს მართალი იყო.

ჩემთვის და ბევრი, ბევრი ადამიანისათვის აქ, ინგლისში, იოსები, ეს კეთილი, შესანიშნავი კაცი და პოეტი, არ მომკვდარა! არც არასოდეს მოკვდება! და, რაღა თქმა უნდა, მისი შემოქმედება კვლავაც ცოცხლობს და მომავალშიც დიდხანს იცოცხლებს, მას შემდეგაც, როცა ჩვენ აღარ ვიქნებით. მისი ხსოვნა არ წაიშლება ჩვენს გულში, სანამ იგი სიყვარულით ფეთქავს.

ელან და შილა ბრაუნი.

●

ნონეშვილი იყო პოეტი, რომლის ნაწარმოებებიც განსაკუთრებით ხშირად ითარგმნებოდა მსოფლიოს ყველა ენაზე. პოლონეთშიც, სხვა ქართველ პოეტებთან შედარებით, ყველაზე ხშირად მისი ლექსები ითარგმნებოდა. ჩვენს ქვეყანას იგი ორჯერ სწვევია და საოცრად ახარებდა ყოველი თავისი ნაწარმოების თარგმანი. ძალიან ვწუხვარ რომ მისი ლექსების კრებულს, რომელზეც დიდი ხანია ვმუშაობ, ვერ შეეხება იოსების ხელი. მხოლოდ იმის შეგნება, რომ პოლონელ მკითხველს შესაძლებლობა მიეცემა ერთხელ კიდევ დატკბეს მისი მშვენიერი პოეზიით, ოდნავ მიქარვებს დარდს.

ნონეშვილი 1959 წელს გავიცანი. მას შემდეგ საქართველოში თხუთმეტჯერ ჩამოვედი, და სწორედ მან მომცა საშუალება შემეცნო ეს ქვეყანა, მისი დიდებული ისტორია და უძველესი ლეგენდები, მაგალითად, კლდეზე მიჯაჭვულ ამირან-პრომეთეზე. ნონეშვილს უყვარდა ლეგენდები, უყვარდა სიცოცხლე და, უწინარესად, პოეზია.

თავისი ლექსთა კრებულის წინასიტყვაობაში იგი წერდა: „მე დავიბადე, ვცხოვრობ, ვწერ ლექსებს... გამოვეცი რამდენიმე კრებული. მაგრამ ჩემი საუკეთესო წიგნი ჯერ კიდევ დასაწერი მაქვს. ბევრი მიმოგზაურია. ძალიან მიყვარს მოგზაურობა, მაგრამ არ მიყვარს გზაში დაწერილი ლექსები. შთაბეჭდილებები დიდხანს მრჩება როგორც ლიტერატურული შემოქმედების მარაგი.

ახალი ხელოვნება ახალ ადამიანთან ერთად იშვება. ჩვენ ვიპყრობთ კოსმოსს, მაგრამ არსებობს კიდევ სხვა კოსმოსი — ადამიანის სულის სამყარო. მის სიღრმეში ჩაწვდომა — აი ყოველი მწერლის კეთილშობილური მიზანი".

იგორ სიკირიცკი.

●

ეს იყო შესანიშნავი ადამიანი! გვახსენდება, როგორ ვსეირნობდით ერთად ქუჩაში — ყველას თავს უკრავდა, ყველა მას ესალმებოდა, ყველა სცნობდა. ბაზარში სრულიად უცნობმა გამყიდველმა ფული არ გადაახდევინა ყვავილებში, რომლებიც ჩვენ მოგვართვა; მეტროში უფასოდ გვიშვებდნენ. პირდაპირ გადამკვდარი იყო ჩვენზე. გვთავაზობდა საუკეთესო და უგემრიელეს კერძებს. ბევრ საინტერესო რამეს გვიყვებოდა საქართველოზე, თავის ცხოვრებაზე. მან გვიამბო ერთი ლეგენდა — როგორ მისცა ღმერთმა ქართველებს მიწა, სვამდა ადამიანების სადღეგრძელოს, ცაზე ვარსკვლავების სადღეგრძელოს. რა საინტერესოდ ყვებოდა ამბავს! ყოველთვის თავაზიანი იყო. მისი წყალობით თავს ისე ვგრძნობდით, როგორც შინ. იგი სისხლსავსე, ლამაზი ცხოვრებით ცხოვრობდა.

მისი წყალობით საქართველო, ქართული კულტურა, ქართველი ერი უფრო ახლობელი გახდა ჩვენთვის. დაუვიწყარია ჩვენი საუბრები. გორში მან ვარდი მოწყვიტა და გვაჩუქა — გახმეთო. მერე გვიამბო: ვიეტნამში რომ ვიყავი, ხო ში მინმა გორში მოწყვეტილი გამხმარი ვარდი მომცა, რომელიც მისთვის სტალინს მიურთმევიათ.

ყველაზე შესანიშნავი კი ის არის, რომ იოსებს სწამდა მსოფლიო ძალები, რომლებიც გაიმარჯვებენ და ყველგან მშვიდობა და მეგობრობა დაისადგურებს.

სამუდამოდ დაგვრჩა გულში იოსების ხუმრობაგარევით ნათქვამი სიტყვები: „მსოფლიო გაყოფილია ადამიანთა ორ ჯგუფად — ისინი, ვინც ნამყოფია საქართველოში, და ისინი, ვინც ჯერ არ ყოფილა საქართველოში". მოხარული ვართ, რომ პირველ ჯგუფს ვეკუთვნით, მოხარული ვართ, რომ ვიცნობდით იოსებს, მის მეგობრებს. არც არასოდეს დაგვავიწყდება მისი სხივნათელი სახე.

დავით და ნატალია მაკფადენები,
ამერიკელი ჟურნალისტები.

მატჩები მსოფლიო პირველობაზე

ანგარიში გაიზარდა

მსოფლიო ჩემპიონმა ანატოლი კარპოვმა ზუსტად გამოიყენა მატერიალური და პოზიციური უპირატესობა მსოფლიო პირველობაზე მატჩის მეორე პარტიაში და 57-ე სვლაზე კიდევ ერთი გამარჯვება მოიპოვა. ანგარიში გახდა 2:0 კარპოვის სასარგებლოდ. აი ეს შეხვედრაც:

მეორე პარტია

კარპოვი — კორჩნოი

1. e4 e5 2. მf3 მc6 3. კb5 მf6 4. 0—0 მ:e4 5. d4 კe7 6. ლe2 მd6 7. კ:c6 bc 8. de მb7 9. მc3 0—0 10. ეe1 მc5 11. კe3 მe6 12. ეad1 d5 13. ed cd 14. მd4 კd7 15. მf5 d5 16. მ:e7+ლ:e7 17. ლd2 ლh4 18. მe2 ეfe8 19. b3 ეe7 20. მg3 ლf6 21. f3 კe8 22. მe2 h6 23. კf2 ლg6 24. მc1 d4 25. მd3 ლf6 26. კg3 ეd7 27. ეe5 ლd8 28. ეde1 ეd5 29. ე:d5 ლ:d5 30. ეe5 ლd7 31. ლe1 ეc8 32. b4 ლd8 33. ეa5 ლd7 34. h3 f6 35. ე:a7 ლd5 36. ეa5 ლd7 37. ეa7 ლd5 38. ეa5 ლd7 39. ლe4 კf7 40. ლf5 ეe8 41. მფh2 ლb7. პარტია გადაიდო.

42. a3 (ჩაწერილი სვლა) ეd8 43. h4 h5 44. მf2 ლd7 45. ეa6 ლe8 46. ლa5 კg6 47. მd3 მფh7 48. ლb6 ეc8 49. a4 კf5 50. a5 c5 51. bc კ:d3 52. cd მ:c5 53. ეa7 ლg6 54. ეc7 ე:c7 55. კ:c7 მ:d3 56. ლd4 მe5 57. კ:e5. შავები დანებდნენ.

მშვენიერი პირობები, შესანიშნავი თამაში

მატჩი მსოფლიო პირველობაზე თანამედროვეობის გამოჩენილ დიდოსტატებს მაია ჩიბურდანიძესა და ნანა ალექსანდრიას შორის ჭადრაკის სამყაროს განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს. ეს სავსებით ბუნებრივია: ჩემპიონისა და პრეტენდენტის დიდი ხელოვნება ფართოდ არის ცნობილი, მათმა მიღწევებმა საყოველთაო აღიარება მოიპოვა. გულშემატკივრები ამ შესანიშნავ დიდოსტატთაგან საინტერესო პარტიებს ელიან და აკი იღებენ კიდეც.

არის ჭადრაკის სამყაროში ასეთი ცნება: „დიდოსტატური ყაიმი". იგულისხმება ისეთი შეხვედრა, რომელიც სწრაფად, თითქმის უბრძოლველად მთავრდება ძალების გაყოფით. გადახედეთ ბორჯომში ნათამაშევ რვა პარტიას. აქ ბრძოლა მიმდინარეობდა საჭადრაკო დაფის სრულ დაცარიელებამდე, დიდი მგზნებარებით და ელვარებით, გამომგონებლობითა და იშვიათი შეუპოვრობით. არც ერთი სწრაფი ყაიმი! თუმცა ხუთი პარტია მაინც დამთავრდა ასეთი შედეგით. ადრეც იყო ცნობილი მაია ჩიბურდანიძისა და ნანა ალექსანდრიას დიდი ღირსება — ბრძოლის დიდი წყურვილი. ამჟამად მიმდინარე მატჩმა ეს ერთხელ კიდევ დაამტკიცა.

რამდენი შემოქმედებითი მიღწევა ჰქონდათ მეტოქეებს! ყველა პარტიაში გვხვდება დიდებული მანევრები, თვალისმომჭრელი იერიშები, მახვილგონივრული დაცვა, სადაც ყველაფერი ნიუანსებზეა დამყარებული. ზოგჯერ გულშემატკივრებს (და ბევრ სპეციალისტსაც) ეჩვენებათ, რომ ერთ-ერთი მხარის უპირატესობა სრულიად საკმარისია გამარჯვების მოსაპოვებლად. ეს ასე არ არის. ჩიბურდანიძე და ალექსანდრია იმიტომ თამაშობენ მატჩს მსოფლიო პირველობაზე, რომ სხვებზე მეტს ხედავენ, მეტს ჭვრეტენ და ისეთ შესაძლებლობებს ითვალისწინებენ, დიდძალი მაყურებლისათვის შეუმჩნეველი რომ რჩება.

მაგრამ ამასთან ერთად ისიც ფაქტია, რომ როგორც ჩემპიონს, ისე პრეტენდენტს ზოგჯერ (ძალიან იშვიათად!) შეცდომები მოსდით. რითია გამოწვეული ეს? — მსოფლიო პირველობაზე მატჩის სპეციფიკით, განსაკუთრებული დაძაბულობით, რომელიც ასეთი დონის პაექრობას ახასიათებს. ჩვენ შეგვიძლია მოვიყვანოთ მრავალი მაგალითი სხვა მატჩებიდან (გნებავთ ვაჟ კორიფეთა ორთაბრძოლებიდანაც), როდესაც დიდოსტატებს ძალიან სერიოზული შეცდომები მოსდით. დარწმუნებული იყავით, ნებისმიერ სხვა შეჯიბრებაში, საერთაშორისო თუ საკავშირო ტურნირში მსგავსი არაფერი მოხდებოდა. ამიტომ სჯობს მონაწილეებს გავუგოთ და ერთი წუთით ჩვენი თავიც წარმოვიდგინოთ მათ მდგომარეობაში.

მაშ ასე, ერთმანეთს ხვდება უმაღლესი კლასის ორი მოჭადრაკე, რომლებიც ხანგრძლივად ემზადებოდნენ ამ მატჩისათვის. ეს მომზადება, როგორც ჩანს, მეტისმეტად საფუძვლიანი იყო. სანამ ორთაბრძოლა მიმდინარეობს, ვფიქრობთ, არ ღირს იმაზე შეჩერება, თუ რომელ დებიუტს რა შესძინეს ჩიბურდანიძემ და ალექსანდრიამ, რა ახალი სიტყვა თქვეს, მაგრამ მალე დადგება დრო, როდესაც „გავხსნით ფრჩხილებს". წინასწარ კი იმის თქმის უფლებას მივცემთ ჩვენს თავს, რომ ამ მხრივ მატჩმა უდავოდ ბევრი რამ მოგვცა.

მატჩი მსოფლიო პირველობაზე ჭადრაკის და მოჭადრაკეთა ზეიმი გახლავთ. მაგრამ ყოველგვარ ზეიმს ხომ სათანადოდ უნდა მოწყობა. მე უამრავ შეჯიბრებას დავსწრებივარ როგორც მონაწილე ან მწვრთნელი და უნდა თამამად განვაცხადო, რომ ბორჯომში ნამდვილად იდეალური პირობები იყო შექმნილი მონაწილეთათვის. საჭადრაკო შეჯიბრება არ არსებობს მაყურებლის გარეშე. და აი, სანატორიუმ „ლიკანის" საკონცერტო დარბაზი [illegible] მის მოთხოვნებს. იგი ისეთი კარგი და კეთილმოწყობილია, რომ თამამად შეიძლება უმაღლესი დონის შეჯიბრებების მოწყობა, თუნდაც ისეთი კატეგორიისა, როგორიც ჩიბურდანიძე-ალექსანდრიას ორთაბრძოლა გახლავთ. ყოველ საღამოს ასეთ მშვენიერ დარბაზში რომ მოდიოდნენ, თავის მხრივ, ჭადრაკის ქომაგებმაც დაამტკიცეს, რომ ისინი ღირსი იყვნენ ამ ჩინებული საჩუქრისა. ისინი კარგად იცნობენ ჭადრაკს, მის სპეციფიკას, და თუ ტემპერამენტს ზოგჯერ ვერ იოკებენ, ამაში ორი დიდებული მოჭადრაკეა „დამნაშავე", სცენაზე რომ ასეთი ელვარებით თამაშობს.

ერთი სიტყვით, მატჩის პირველმა ნახევარმა მეტად საინტერესოდ ჩაიარა და დაძაბული ჰყავდა მთელი საჭადრაკო სამყარო. თქმა არ უნდა, იგივე იქნება თბილისის ჭადრაკის სასახლეში, სადაც დღეიდან გაგრძელდება მატჩი მსოფლიო პირველობაზე.

სიმონ პალატნიკი,
საერთაშორისო დიდოსტატი.

თურქეთში მატჩებზე

თბილისის „დინამოს" ხუთი ფეხბურთელი თურქეთს გაემგზავრა, რათა მონაწილეობა მიიღონ მატჩებში ნაკრებთა დონეზე.

ქვეყნის მთავარი გუნდის მწვრთნელმა კ. ბესკოვმა თურქ ფეხბურთელებთან მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის განმეორებით მატჩში მონაწილეობისათვის მიიწვია თბილისელები ა. ჩივაძე, თ. სულაქველიძე, ვ. დარასელია და რ. შენგელია. ნაკრების დამრიგებელს ამ მატჩში დახმარებას გაუწევს „დინამოს" მწვრთნელი ნ. ახალკაცი.

მეხუთე ფეხბურთელი ვ. გუცაევი ითამაშებს სსრ კავშირის ახალგაზრდულ ნაკრებში, რომელიც ევროპის პირველობის გათამაშებაში მონაწილეობს. (საქინფორმი).

„ბასტია" სახიფათო მეტოქეა

საფრანგეთის პირველი დივიზიონის შედეგების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, „ბასტია" არაფრით გამოირჩევა ამ ქვეყნის ნებისმიერი საშუალო გუნდისაგან. იგი არ მონაწილეობს საპრიზო ადგილებისათვის ბრძოლაში. თუმცა, არც დივიზიონის დატოვება ემუქრება. მიმომხილველთა აზრით, შინ გამართულ მატჩებში კორსიკელებს შეუძლიათ შეტევითი, ენერგიული თამაში გიჩვენონ, გასვლითი შეხვედრები კი ნაკლებად საინტერესოა. მაქსიმალური წარმატება ეროვნულ პირველობაზე—მესამე ადგილი 1977 წელს.

საფრანგეთის წლევანდელი ჩემპიონატის 11 ტურის შემდეგ „ბასტიას" საკმაოდ მოკრძალებული შედეგები ჰქონდა — 12 ქულა, მეცხრე ადგილზე იყო, გატანილი და მიღებული ბურთების ბალანსი კი 22:22.

მაგრამ არის სხვა „ბასტია", ის, რომელიც საერთაშორისო შეჯიბრებებში მონაწილეობს. ყველას ახსოვს კორსიკელების უდიდესი წარმატება უეფას თასის 1977-78 წლების გათამაშებაში. ამ შეჯიბრებაში „ბასტია" მოხვდა როგორც ეროვნული ჩემპიონატის მესამე პრიზიორი.

„ბასტიას" გამოსვლამ უეფას თასზე, მართლაც რომ, ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. მან მოუგო ლისაბონის „სპორტინგს" (პორტუგალია), „ნიუკასლ იუნაიტედს" (ინგლისი), იტალიის არაერთგზის ჩემპიონს „ტორინოს". საინტერესოა აღინიშნოს, რომ ამ გათამაშებაში თბილისის „დინამოც" მონაწილეობდა, მაგრამ ფრანგი და ქართველი ფეხბურთელების გზები მაშინ ერთმანეთს ასცდა. ეს კია, რომ „ბასტია" მაშინ შეხვდა თბილისელების ძველ და ახალ ნაცნობებს, მოუგო იენის „კარლ ცაისს" და ციურიხის „გრასჰოპერსსაც".

ფინალურ მატჩებში „ბასტია" ორჯერ შეხვდა „პსვ ეინდჰოვენს", რომელიც მაშინ ჰოლანდიაში უძლიერესად ითვლებოდა და ეროვნული ნაკრების ბირთვსაც წარმოადგენდა. პირველი მატჩი ბასტიაში ფრედ (0:0) დასრულდა, მეორეში კი ჰოლანდიელებმა გაიმარჯვეს (3:0) და თასსაც დაეუფლნენ. ასე იყო თუ ისე, „ბასტიას" გამოსვლა ამ ტურნირში ტრიუმფულად ჩაითვალა.

მომდევნო წლებში კორსიკელთა გუნდი დასუსტდა. საფრანგეთის უძლიერეს და უმდიდრეს „სენტ-ეტიენის" კლუბში გადაბიდნენ რეპი და ზიმაკო, მათი შეცვლილის გამონახვა კი შეუძლებელი გახდა. ზაგრების „სპორტსკე ნოვოსტის" ცნობით, რომელიც ფართოდ აშუქებს საფრანგეთის ჩემპიონატს (ამ შეჯიბრებაში ბევრი იუგოსლავი ფეხბურთელის მონაწილეობის გამო), მთავარი, რაც გუნდს აკლდა, კარგი გამთამაშებელი გახლდათ.

„ბასტიამ" კიდევ ერთხელ გააახსენა თავი ფეხბურთის სამყაროს მიმდინარე წლის ივნისში, როდესაც მთელი რიგი მეტოქეების ჩამოცილების შემდეგ საფრანგეთის თასის ფინალში გავიდა. აქ მან პარიზის „პარკ დე პრენსის" სტადიონზე სძლია საფრანგეთის ჩემპიონს „სენტ-ეტიენს" ანგარიშით 2:1 (რეპი და ზიმაკო ამ შეხვედრაში თავისი ყოფილი კლუბის წინააღმდეგ გამოდიოდნენ) და ამდენად თასების მფლობელთა თასის გათამაშებაში მონაწილეობის უფლება მოიპოვა.

ამჟამად გუნდის „შენაძენი" ასეთი გახლავთ: მის შემადგენლობაში ჩაირიცხა ციურიხის „გრასჰოპერსის" ყოფილი გამთამაშებელი პონტე, შვეიცარიის ნაკრების ერთ-ერთი წამყვანი ფეხბურთელი. საინტერესოა, რომ პონტე კორსიკაში ჩამოვიდა... ინგლისიდან, სადაც იგი ქვეყნის ყოფილ ჩემპიონ „ნოტინჰემ ფორესტში" თამაშობდა. პონტე, მიმომხილველთა ცნობით, სწორედ ის ფეხბურთელია, რომელიც „ბასტიას" სჭირდება— მას ემარჯვება სწრაფი შეტევების წარმართვა. გუნდის ერთი წევრი — მეკარე იარდი კი ახლა საფრანგეთის ნაკრებში გამოდის. ამგვარად, გუნდის შეუფასებლობას სიურპრიზიც კი შეიძლება მოჰყვეს.

გ. გამრეკელი.

სატურნირო ორბიტა

ჭადრაკი. ივანო-ფრანკოვსკში გრძელდება ქალთა 41-ე საკავშირო ჩემპიონატი (უმაღლესი ლიგა). მეშვიდე ტურში ნ. გაფრინდაშვილმა დაამარცხა ე. ხოროვეცი, ნ. იოსელიანმა — ე. ალიევა, თ. ხუგაშვილმა — ტ. მეშჩერინა. მეოთხე თბილისელმა ნ. გურიელმა კი პარტია გადადო. 7 ტურის შემდეგ გაფრინდაშვილსა და იოსელიანს 5,5-5,5 ქულა ჰქონდათ, თ. ხუგაშვილს და ი. ოსტრიის — 5-5.

კალათბურთი. მინსკსა და ტალინში გრძელდება ვაჟთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის პირველი წრის თამაშები. მინსკში მიმდინარე შეჯიბრების მეორე დღეს თბილისის დინამოელები შეხვდნენ კაუნასის „ჟალგირისს" და დამარცხდნენ — 73:78. მესამე ტურში თბილისელთა მეტოქეები იყვნენ კიევის არმიელები. თბილისელებმა ამჯერადაც უიღბლოდ იასპარეზეს — 71:99.

ხელბურთი. რიგაში გაიმართა ვაჟთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის პირველი წრის დასკვნითი ეტაპის მორიგი მატჩები. საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის (თბილისი) გუნდმა შეჯიბრების მეორე დღეს მოუგო მოსკოვის „კუნცევოს" — 28:27, მესამე დღეს კი დამარცხდა მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტის კოლექტივთან — 33:35. სამი ტურის შემდეგ ქულათა მაქსიმუმით (16) ლიდერობს მინსკის ასკ.

ფეხბურთი. პირველი ლიგის გუნდების საკავშირო ჩემპიონატის 38-ე ტურის შეხვედრები მოსკოვის „ლოკომოტივმა" და ნიკოპოლის „კოლოსმა" გამარჯვებით დაამთავრეს: „ლოკომოტივმა" — სმოლენსკის „ისკრასთან" (3:2), ხოლო „კოლოსმა" — ლვოვის „კარპატთან" (3:2). ახლა „ლოკომოტივს" 46 ქულა აქვს, „კოლოსს" — 45. ქუთაისის „ტორპედო", რომელსაც ჯერჯერობით 43 ქულა აქვს, დღეს 38-ე ტურის მატჩს ოდესაში ადგილობრივ არმიელებთან გამართავს. „ლოკომოტივს", „კოლოსს" და „ტორპედოს" წინ უსწრებს ხარკოვის „მეტალისტი" — 51 ქულა.

მეორე ლიგის მეცხრე ზონის ფეხბურთელთა მორიგ ტურში აბოვიანის „კოტაიკმა" სტეფანაკერტის „ყარაბაღთან" ფრედ ითამაშა 2:2, ოქტომბერიანის „სპარტაკმა" — სამტრედიის „ლოკომოტივთან" — 0:0, აშხაბადის „კოლხოზჩიმ" — სოხუმის „დინამოსთან" — 1:1, ლენქორანის „ხაზარმა" მოუგო ლენინაკანის „შირაკს" —4:0. ასპარეზობის ლიდერს აბოვიანის „კოტაიკს" 61 ქულა აქვს. სამტრედიის „ლოკომოტივი" 55 ქულით მეორე ადგილზეა.

მძლეოსნობა. ესპანეთის ქალაქ ვალენსიის მიდამოებში გაიმართა სპორტული სიარულის ოსტატთა მსოფლიო თასის გათამაშება. ეს ჯილდო განკუთვნილი იყო გუნდური გამარჯვებისთვის და იგი წილად ხვდა იტალიის ნაკრებს. ვაჟთა შორის პირად ასპარეზობაში პირველი ადგილები მოიპოვეს მექსიკელებმა ერნესტო კანტომ (20 კილომეტრზე სიარულში—1:23.52) და რაულ გონსალესმა (50 კმ — 3:48.30). ქალთა შორის უძლიერესი იყო შვედი სივ გუსტავსონი (5 კმ — 22.56,9).

რედაქტორი
გ. ბედინეიშვილი.

1950 წელს გამოშვებული სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების მეხუთე სახელმწიფო სესხი

ქალაქ მოსკოვში 1981 წლის 15 სექტემბერს გამართული დაფარვის I ტირაჟის

ოფიციალური ცხრილი

ტირაჟში დაფარულია სერიების (25-25 სერია თითოეულში) შემდეგი ჯგუფების 50-ვე ნომრის ობლიგაციები (№ 01-დან № 50-მდე ჩათვლით) მიმოქცევაში გამოშვებული სესხის ყველ თანრიგის მიხედვით:

№ სერიიდან	№ სერიამდე (ჩათვლით)	№ სერიიდან	№ სერიამდე (ჩათვლით)	№ სერიიდან	№ სერიამდე (ჩათვლით)	№ სერიიდან	№ სერიამდე (ჩათვლით)
080001	080025	084776	084800	089901	089925	095051	095075
080051	080075	084801	084825	089976	090000	095076	095100
080076	080100	084826	084850	090001	090025	095126	095150
080101	080125	084851	084875	090026	090050	095176	095200
080176	080200	084901	084925	090051	090075	095226	095250
080201	080225	084926	084950	090101	090125	095276	095300
080251	080275	084976	085000	090176	090200	095326	095350
080301	080325	085126	085150	090201	090225	095376	095400
080426	080450	085151	085175	090226	090250	095401	095425
080451	080475	085176	085200	090276	090300	095426	095450
080476	080500	085201	085225	090301	090325	095451	095475
080551	080575	085226	085250	090351	090375	095526	095550
080576	080600	085276	085300	090376	090400	095551	095575
080601	080625	085301	085325	090401	090425	095651	095675
080626	080650	085326	085350	090426	090450	095676	095700
080651	080675	085351	085375	090526	090550	095776	095800
080676	080700	085426	085450	090551	090575	095801	095825
080701	080725	085451	085475	090576	090600	095826	095850
080751	080775	085501	085525	090601	090625	095851	095875
080801	080825	085526	085550	090651	090675	095876	095900
080851	080875	085576	085600	090701	090725	095951	095975
080876	080900	085601	085625	090751	090775	096026	096050
080926	080950	085626	085650	090776	090800	096051	096075
080951	080975	085651	085675	090801	090825	096076	096100
080976	081000	085676	085700	090826	090850	096101	096125
081051	081075	085701	085725	090926	090950	096151	096175
081101	081125	085751	085775	090951	090975	096176	096200
081126	081150	085801	085825	091001	091025	096226	096250
081151	081175	085826	085850	091026	091050	096251	096275
081176	081200	085851	085875	091051	091075	096401	096425
081201	081225	085876	085900	091076	091100	096451	096475
081251	081275	085926	085950	091201	091225	096501	096525
081276	081300	085976	086000	091326	091350	096526	096550
081326	081350	086001	086025	091351	091375	096551	096575
081426	081450	086026	086050	091401	091425	096626	096650
081526	081550	086051	086075	091451	091475	096676	096700
081576	081600	086076	086100	091501	091525	096701	096725
081626	081650	086101	086125	091551	091575	096776	096800
081701	081725	086126	086150	091601	091625	096826	096850
081726	081750	086151	086175	091626	091650	096851	096875
081751	081775	086251	086275	091701	091725	096876	096900
081851	081875	086276	086300	091726	091750	097001	097025
081876	081900	086301	086325	091776	091800	097051	097075
081901	081925	086351	086375	091826	091850	097126	097150
081926	081950	086376	086400	091926	091950	097151	097175
081951	081975	086476	086500	091976	092000	097201	097225
081976	082000	086526	086550	092001	092025	097301	097325
082026	082050	086551	086575	092101	092125	097326	097350
082051	082075	086601	086625	092151	092175	097351	097375
082076	082100	086626	086650	092176	092200	097426	097450
082101	082125	086651	086675	092251	092275	097476	097500
082301	082325	086676	086700	092376	092400	097576	097600
082351	082375	086701	086725	092426	092450	097651	097675
082401	082425	086751	086775	092451	092475	097676	097700
082426	082450	086776	086800	092501	092525	097726	097750
082451	082475	086826	086850	092526	092550	097751	097775
082476	082500	086851	086875	092551	092575	097801	097825
082501	082525	086876	086900	092576	092600	097826	097850
082526	082550	086901	086925	092626	092650	097876	097900
082551	082575	086951	086975	092676	092700	097901	097925
082601	082625	087001	087025	092751	092775	097926	097950
082651	082675	087051	087075	092776	092800	097951	097975
082701	082725	087151	087175	092801	092825	097976	098000
082726	082750	087326	087350	092901	092925	098001	098025
082751	082775	087351	087375	093026	093050	098051	098075
082776	082800	087401	087425	093126	093150	098076	098100
082801	082825	087501	087525	093151	093175	098101	098125
082876	082900	087526	087550	093201	093225	098126	098150
082901	082925	087551	087575	093226	093250	098176	098200
082926	082950	087576	087600	093251	093275	098201	098225
082951	082975	087601	087625	093301	093325	098226	098250
082976	083000	087651	087675	093326	093350	098251	098275
083026	083050	087701	087725	093351	093375	098301	098325
083076	083100	087776	087800	093376	093400	098326	098350
083101	083125	087801	087825	093401	093425	098351	098375
083151	083175	087851	087875	093426	093450	098376	098400
083176	083200	087901	087925	093451	093475	098401	098425
083276	083300	088001	088025	093501	093525	098426	098450
083301	083325	088026	088050	093526	093550	098451	098475
083376	083400	088076	088100	093551	093575	098501	098525
083451	083475	088101	088125	093576	093600	098551	098575
083501	083525	088176	088200	093676	093700	098601	098625
083576	083600	088226	088250	093726	093750	098676	098700
083601	083625	088251	088275	093751	093775	098776	098800
083626	083650	088426	088450	093826	093850	098851	098875
083651	083675	088451	088475	093851	093875	098926	098950
083676	083700	088576	088600	093901	093925	098951	098975
083726	083750	088601	088625	093926	093950	099001	099025
083776	083800	088776	088800	094001	094025	099026	099050
083801	083825	088801	088825	094026	094050	099051	099075
083826	083850	088851	088875	094101	094125	099076	099100
083851	083875	088876	088900	094126	094150	099126	099150
083876	083900	088926	088950	094201	094225	099176	099200
083926	083950	089026	089050	094276	094300	099226	099250
083951	083975	089076	089100	094301	094325	099251	099275
083976	084000	089126	089150	094326	094350	099276	099300
084001	084025	089176	089200	094351	094375	099301	099325
084076	084100	089226	089250	094376	094400	099326	099350
084101	084125	089251	089275	094401	094425	099376	099400
084126	084150	089401	089425	094426	094450	099401	099425
084151	084175	089451	089475	094476	094500	099451	099475
084276	084300	089526	089550	094501	094525	099476	099500
084351	084375	089551	089575	094576	094600	099551	099575
084376	084400	089576	089600	094626	094650	099626	099650
084401	084425	089626	089650	094651	094675	099651	099675
084426	084450	089676	089700	094676	094700	099676	099700
084451	084475	089701	089725	094701	094725	099776	099800
084501	084525	089726	089750	094801	094825	099801	099825
084576	084600	089751	089775	094826	094850	099851	099875
084626	084650	089826	089850	094851	094875	099926	099950
084651	084675	089851	089875	094901	094925	099951	099975
084701	084725	089876	089900	094951	094975	099976	100000

ცხრილის განმარტება

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების მეოთხე სახელმწიფო სესხის ობლიგაციათა დაფარვა წარმოებდა სერიების ჯგუფების მიხედვით, ამიტომ ცხრილში აღნიშნული სერიების ნომრების რიცხვში შევიდა 1957 წლის 19 აპრილამდე გამართულ ტირაჟებში წინათ მოგებული ან დაფარული სერიების ნომრები; აღნიშნული ტირაჟების ცხრილებით ობლიგაციების შემოწმება შეიძლება შემნახველ სალაროში. ამ ტირაჟში დაფარულ ობლიგაციათა თანხამ შეადგინა 1 მილიარდ 276 მილიონი მანეთი.

დაფარვის ტირაჟში გასული სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების მეხუთე სახელმწიფო სესხის ობლიგაციებით, 1961 წლის 1 იანვრიდან წარმოებული 10:1 შეფარდებით ფასების მასშტაბის შეცვლის შესაბამისად, გაიცემა შემდეგი თანხები:

აღნიშნულია ობლიგაციაზე	გაიცემა
500 მან.	50 მან.
200 მან.	20 მან.
100 მან.	10 მან.
50 მან.	5 მან.
25 მან.	2 მან და 50 კაპ.
10 მან.	1 მან.

ეს ცხრილი ოფიციალური დოკუმენტია, რომლითაც შემნახველი სალაროები 1981 წლის 6 ოქტომბრიდან გაანაღდებენ დაფარვის ტირაჟში გამოშვებულ ობლიგაციებს.

კომისიის თავმჯდომარე — ქალაქ მოსკოვის სახალხო დეპუტატთა სოკოლნიკის რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე დ. დ. ილინი.

კომისიის პასუხისმგებელი მდივანი ლ. პ. ესინა.



თბილისის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორატი

აცხადებს, რომ დაუსწრებ განყოფილების სტუდენტთა მ ხილვითი ლექციები ისტორიის კულტეტზე დაიწყო მიმდინ წლის 1 ოქტომბერს, იურიდი ფაკულტეტზე — 5 ოქტომბ ხოლო სახალხო მეურნეობის გეგმვის, ვაჭრობის ეკონომი და საქონელმცოდნეობის, ხაალ ცხვო ეკონომიკისა (და საინჟინ ეკონომიკის ფაკულტეტებზე წყება 10 ნოემბერს.

თბილისის ა. ს. პუშკინის სახე ლობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი

აცხადებს ასპირანტურაში ღებას 1981 წლის შემდეგ ს ციალობებზე (წარმოებას მოუწ ვეტლივ):

პედაგოგიკის თეორია და ტორია — 1 ადგილი, (მიზნობ ვი წესით);

პედაგოგიური, ბავშვისა და კობრივი ფსიქოლოგია — 2 გილი;

მუსიკის სწავლების მეთოდ — 1 ადგილი;

სახვითი ხელოვნების სწავ ბის მეთოდიკა — 1 ადგილი.

ასპირანტურაში წარმოებას უწყვეტლივ მიიღებიან არაუ ტეს 45 წლის მოქალაქენი, მელთაც აქვთ უმაღლესი განა ლება, პედაგოგიური მუშაო არანაკლებ 2 წლის სტაჟი მეცნიერული კვლევის უნარი.

ასპირანტურაში შემსვლე აბარებენ მისაღებ გამოცდ სპეციალობაში, სკკპ ისტორი და ერთ-ერთ უცხო ენაში უმ ლესი სასწავლებლის პროგრა მიხედვით.



განცხადება ასპირანტურაში სვლის შესახებ უნდა შემოიტან ინსტიტუტის რექტორის სახელ

განცხადებები მიიღება ინს ტუტის ასპირანტურის განყოფ ლებაში ერთი თვის განმავლობ ში დღიდან განცხადების გამოქ ყნებისა.

მისაღები გამოცდები დაიწყ 16 ნოემბერს.

დაწვრილებითი ცნობებისათ მიმართეთ მისამართით: თბი სი, ი. ჭავჭავაძის გამზირი, № ტელეფონი: 22-58-35.

თბილისის მოსახლეობის შრომითი მოწყობისა და ინფორმაციის ბიურო

სამუშაოდ იწვევს ახალგაზრდებს

თბილისის მექანიკურ ქა რხნებში შემდეგ სპეციალ ბებზე:

პლასტმასის მწნეხავი, ხარა მეიარაღე ზეინკალი, სახარა ავტომატების გამწყობი, ინ ნერ-კონსტრუქტორი, ინჟინ მექანიკოსი და შეგირდები.

შრომის ანაზღაურება — გა მუშავების მიხედვით. ქარხანა მოჰყოფს ბინებს არსებული გის თანახმად.

ქარხანას აქვს საბავშვო ბა სანატორიუმი „კისლოვოდსკი".

გამოყოფს მიწის ნაკვეთებს ბაღეობისათვის.

ცნობებისა და სამუშაოზე ზურების მისაღებად მიმართეთ ბიუროსა და მის ფილიალებს: პ ხანოვის გამზირი 67, ოქტომბ ქ. მე-2 მიკრორაიონი, მე-2 კ პუსი, ნავთლუღის ქ. 17.

ტელევიზია

6 ოქტომბერი

პირველი პროგრამით: 09.00 „ვრემია" (მ.), 09.40 — დილის ვარჯიში (მ.), 10.00 — „მოამბე", 10.30 — დოკუმენტური ფილმი „ჩვენ და ბუნება", 11.30 — მხატვრული ფილმი „სტაჟიორი", 13.00 — აბიტურიენტთათვის — ქართული ენა, 13.30 — მულტიპლიკაციური ფილმები, 17.00 — შევისწავლოთ ინგლისური ენა, 17.30 — „თქვენთვის, პატარებო!" — მულტიპლიკაციური ფილმი, 18.05 — „პლენუმის შესახვედრად" — „მეტი ყურადღება — კადრებს", 19.05 — „მღერის მარლენ ადამაძე", 19.45 — „დღეს მსოფლიოში" (მ.), 20.00 — „მოამბე", 20.30 — მიხეილ ჯავახიშვილის დაბადების 100 წლის თავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო (ვიდეოჩანაწერი), 22.00 — „ვრემია" (მ.), 22.35 — „დედოფლის გვირგვინისათვის", 22.50 — მიხეილ ჯავახიშვილის დაბადების 100 წლის თავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამოს (გაგრძელება). დასასრულ ახალი ამბები.

მეორე პროგრამით: 18.10 — დოკუმენტური ფილმი „როგორ გამოვიყენოთ წარმატება", 19.00 — განცხადებები, 19.05 — სტუდენტებისათვის — თეორიული მექანიკა.

თეატრი

6 ოქტომბერი

რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — შეშლილი, შეშლილი ახალი წელი (პრემიერა); მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — მადამ სანჟენი; აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — ლამურა; მეგობრის თეატრი — განკითხვის დღე.